# სახალხო გაზეთი

№ 479 კვირა, 25 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 402

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სხორაბან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ. ციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხაღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იხაზება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ს. ხარაჯიშვილის სახლი, მიხავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: ...ლებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.
ცალკე ნომერი უველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



18 ენკენისთვეს დანიშნული ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა ცუდი ამინდის გამო არ შესდგა.

სამაგიერო სეირნობა დანიშნულია დღეს, 25 ენკენისთვეს, „ახალი კლუბის" ბაღში.

I

სეირნობა ბავშვებისათვის

11 საათიდან 2 საათამდე.

ბავშვების გასეირნება მუსიკით. სხვა და სხვა თამაშობა. ცეკვა. საჩუქარი სიმარდისათვის.

II

დიდი სახალხო სეირნობა

3 საათიდან ღამის 11 საათამდის.

ამერიკული ბაზარი. პტი-შვო. ფოსტა. უვაჟილების ბრძოლა. რგოლების სროლა. კონფეტი. დაუშრეტელი ყანწი.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. შესვლა: დიდებისათვის 25 კ., ბავშვებ. და მოწაფეებისათვის—15 კ. ბაღში მისავალი თეატრის კარებიდან. (3.1492.3)


ამ ნომერში ექვსი გვერდია.


„სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., ხარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.



ღრმად დამწუხარებულნი: მარიამ ანდრიას ასული და შვილნი მისნი: გიორგი, ილია, ვასილი და ნინა ივანეს ძენი და ასული, რძლები—ოლგა სპირიდონის ასული და ნატალია ისაკის ასული პაატაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის—საყვარელი შვილის, მეორეთა—ძვირფასი ძმის და მესამეთა—საყვარელი მაზლის

დავით ივანეს ძის პაატაშვილის

ცხედრის გამოსვენება დანიშნულია დღეს, კვირას, 25 ამა ენკენისთვეს, საკუთარ ბინიდან (ავლაბარი, ეჩმიაძინის ქუჩა, № 20, საკ. სახლი), ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიაში 9½ საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლის სასაფლაოზე. (2—848—2)

ვასილ ისიდორეს ძე და მაკრინე ივანეს ასული თოფურიძენი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ შვილის, ხოლო მეორენი ძმის

ანდრია ვასილის ძის თოფურიძის

დასაფლავება ფოთში 25 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე. (2—1518—2)

ანასტასია თადეოზის ასული ბურჯანაძისა შვილებითურთ აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სამშაბათს, 27 ენკენისთვეს, გარდაცვალების წლის თავზე პეტრე პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

პავლე გიორგის ძის ბურჯანაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ დანიშნულია ძეგლის კურთხევა. წირვა დაიწყება დილის 10 საათ. პანაშვიდი 12 საათ. (1—849—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ხედიფო, ბეგლარ, პისტი და ნინო, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნცნობთ გარდაცვალებას პირველის—საყვარელი მეუღლისას, მეორესი—ძვირფასი მამისა, მესამეს—სიმამრისა და მეოთხეს—სიძისა

ასლან მგელაძის.

ცხედრის დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 27 ენკენისთვეს, სოფელ ზემო აკეთში. (1—850—1)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 25 ენკენისთვეს, ნაშუადღევის პირველის საათის ნახევარზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი საზოგადოების წევრის, ისტორიკოსის

მღვდ. მიხეილ თამარაშვილის [თამარატის]

სულის მოსახსენებლად. (1—1620—1)

ვანო ზაქარიას ძის გომელაურის მეუღლე ოლიჩკა გაბრიელის ასული აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 25 სექტემბერს, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 11 საათზე, გადახდილი იქნება ექვსის თვის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ვანო ზაქარიას ძის გომელაურის

სულის მოსახსენებლად. (1—851—1)

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების

„მომავალი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს წევრთა და არა წევრთა საყურადღებოდ, რომ, რადგანაც 18 ამ თვეს მოწვეული კრება არ შესდგა, ამიტომ მეორეჯერ

მოწვეულია საგანგებო კრება

25 ამა თვეს, ნაშუადღევის 3 საათზე,

ზუბალაშვილის სახალხო სახლში. განსახილველია ისევ ის კითხვები; კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მსურველთ აქვე შეუძლიანთ წევრად ჩაწერა, იგინიც გადამწყვეტის ხმით ისარგებლებენ.
(3—843—3) საზოგადოების გამგეობა.

ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(ბაბიორის ქ. ქლენტის სახლი N 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ქ. მ. ქნ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგპივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ფოგელისა და თ. ს. შაბურთუისა. სკრიპკა—ა. ნ. ყარაშვილი. ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი, კონტრაბასი—მ. ი. შერშოვი, სიმღერა (solo) ე. მ. ბროჯი, ელემ. თეორია, ნოტები. კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—ზ. პ. ფალიაშვილი, ხოროს კლასი—ნ. პ. სულხანიშვილი. ახლად მოწვეულია სკრიპკის უფროსი მასწავლებელი თავისუფალი ხელოვანი მ. ტ. ვახლიევი (ამასთან ფასი 70 მ. წელიწადში, სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75. სათეორიო კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლობით წინ და წინ, ე. ი. სწავლის დაწყებისა თანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმის გასინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში არსებულ მგალობელთა გუნდში.
სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (10.1463.9)

მოდებისა და სამანუფაქტურო მაღაზია

მ. გ. აბაშიძისა

თამამშევების ქარვასლაში, კომერციულ ბანკის პირდაპირ, №№ 27—28.

მიღებულია დიდ-ძალი საქონელი

მატყლისა, აბრეშუმისა და ბამბეულისა.

გვაქვს აგრეთვე მებელის პლუშები და სხვა მატერიები.

ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია. (10.1511.3)

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად რუსულ ენის სახელმძღვანელო

მეთოდიური ქრისტომატია

(Методическая хрестоматія по русскому языку)

ნაწ. I. გამოცემა მეორე, შედგენილი ვ. ჯაფარიძისა და ი. ზედგინიძის მიერ. განათლების სამინისტროსაგან წიგნი ნებადართულია სკოლებში სახმარებლად. (3—837—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირალოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მიქელაძე შვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ზანხვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

წამლობა „606"-ით

Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ.—1089—168)

ტელეფ. № 795. ახალი კლუბი ტელეფ. № 795

სამშაბათს, 27 ენკენისთვეს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრის სცენაზე:

I. გამოჩენილი სპორტ-მალაბარისტ-ჟონგლიორები

ქსენია და მიხეილ პაშჩენკოები

II გ. ვილლი სერტინგი

გამოჩენილი გიმნასტი და ველოსიპედზე და წვრილ მავთულზე მოსიარულე.

დასაწყისი სად. 9 ს.

შესასვლელი ფასი თეატრში 10—50 კ.-დე. სტუმრ. გადიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. წარმოდგენის შემდეგ ლოტო. (2.1514.1)

ქ. გორში ქალთა სახელოსნო სკოლა

ელენე თარხან-მოურავის ხელმძღვანელობით. პირველ სექტემბრიდან ქ. გორში გაიხსნა ქალთა სახელოსნო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ისწავლება ყოველგვარი ხელსაქმე, ჭრა-კერვა და გაშმაკების კერვა. აქვე მიიღება მოწაფე ერთის წლის კურსით, რომელიც შეისწავლის განსაკუთრებით ჭრა-კერვას. აგრეთვე იქნება საღამოს კურსები მეოჯახე ქალთათვის. მიიღება ყოველგვარი საკერავი ქალთა და ბავშვთა ტანისამოსისა. მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ თოთხმეტი წლისა. მიიღება მოწაფედ წერა-კითხვის არ მცოდნეც. მოწაფეებს იყვანენ ბინითაც. პირობების და პროგრამის გაცნობა შეიძლება პირადად და წერილობითაც. ადრესი: სამეფო ქუჩა, № 33. (10—1493—5)

გორის ქალაქის საზოგადო სამმართველო

გორის მოქალაქეთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ სექტემბრის 29-ს, დილის 11 საათზე, დანიშნულია სახლის პატრონთა კრება, ერთის რწმუნებულისა და 5 კანდიდატის ასარჩევად, იმათ მაგიერ, რომელნიც საგუბერნიო საკრებულომ არ დაამტკიცა. (3.1512.3)

საგურამოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—147)



(25—1456—19)

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა

გუნდი

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით

(დაარსებული 1910 წელს)

იღებს მონაწილეობას: კონცერტებში, მუსიკალურ საღამოებში, წირვის, ქორწილის წესის და პანაშვიდის საგალობლებში.

გუნდის დაკვეთა და მოლაპარაკება ერთი კვირით ადრე მ. კავსაძესთან.

ავჭალის მოედანი № 11, სამშაბათობით და პარასკეობით 5—6 საათამდე.

ახალ მომღერლების მიღება 1 ღვინობისთვემდე, სწავლა დაიწყება 5 ღვინობისთვეს. (15—1423—13)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N ... სახლი გაბაშვილისა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—166)

ექიმი ქალი ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (6—141)

ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დაბრუნდა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.1496.7)

დოქტორი მედიცინისა
**ი. ე. თიქანაძე**
სამკურნალო აკადემიის სამეცნიერო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ფთიმერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—5)

მედიცინის დოქტორი
**ი. გ. ჩუდნოვსკი**
კიროჩნი ქ., სახ. № 18, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—24)

**ექიმი ა. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).
ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.8)

**ექიმი გ. ნ. მამაკიანი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—33

**ექიმი ივ. გომართელი.** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.
ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—10)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-მანტურიასი** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.
ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—36)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ჟორდანიოვის ქ., N 20. (წ.—1249—114)

**ექიმი მ. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—19)


# მეტი მოთმენა და მეტი ყურადღება

3.

ჯერ რამდენიმე სიტყვა „მნათობს". გაზეთი გაკვირვებულია, „როდის, ან სად იყო, რომ „ინტერნაციონალისტები" სომხის „ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოქმედებდნენო"? (№ 27). როდის და სად? მაშინ და იქ, როდესაც ეროვნული პრობლემა მომწიფდა კავკასიაში, როდესაც სხვა პოლიტიკურ საკითხთა შორის, ისიც გახდა ჩვენში სერიოზულ და რთულ პრობლემად; იმ დროიდან, როდესაც ქართველების მიერ წამოყენებულ ეროვნულ თვით-მმართველობის პრინციპი არ ეპაშნიკა სომხის ბურჟუაზიას და როდესაც ამ საკითხში მან მოულოდნელად მხურვალე დახმარება ნახა სოციალ დემოკრატების მხრივ; იმ დროიდან, როდესაც ქართველებს დაებადათ სურვილი ეროვნულ ცხოვრება და ერთა შორის ურთიერთობა განსაზღვრულ დაწესებულებათა ფარგალში ჩაეყენებინათ, რათა ამ ურთიერთობისათვის და ცხოვრებისათვის კანონიერი ელფერი მიეცათ და მოესპოთ მისი სტიქიური ხასიათი; იმ დროიდან, როდესაც ეს ორგანული მუშაობა ქართველის ინტელიგენციისა ჭკუაში არ დაუჯდა სომხის ბურჟუაზიას და მან თქვენის შეწევნითა და კურთხევით შოვინისტებად და რეაქციონერებად დაგვსახა. როდის და სად? გულუბრყვილობაც ამისთანა უნდა! ნუ თუ მართლა არ გესმით ის გარემოება, რომ როდესაც ორი ეკონომიურად არა თანაბრად განვითარებული ერი სცხოვრობს მეზობლად და როდესაც ამ ერთა ურთიერთობა არავითარ კანონით, არავითარ დაწესებულებით არ ისაზღვრება, რომ ამ შემთხვევაში ბურთი და მოედანი რჩება ეკონომიურად ძლიერ ბურჟუაზიას, რომელიც ამ ძლიერებას მეზობელ ერის დამონების იარაღად ხმარობს? ნუ თუ არც იმაზე დაფიქრებულხართ, რომ როდესაც სუსტ ერის წრეებში იბადება ჯგუფი, რომელიც, მიუხედავად თავისი იდეალურის მისწრაფებისა, ჭკადაგებს დოქტრინას, დღევანდელ პირობებში სასარგებლოს უცხო ტომის გაბატონებულ ბურჟუაზიისათვის, ნუ თუ ერთხელ მაინც არ იგრძენით, რომ ყალბ ნიადაგზე დგახართ და შეუმცნებლად ემსახურებით იმას, რაც ვეზიზღებათ და გძულთ?

„მნათობი" იჭვიანობას იჩენს ქართველ ამომრჩეველთა დემოკრატიზმის გამო. მას თვალში ეჩხირება რამოდენიმე კერძო პირი, რომელიც იღებს მონაწილეობას ამ საქმეში და სრულიად არ ესმის ის გარემოება, რომ როდესაც სოციალურ კატეგორიასთან გაქვთ საქმე, არა თუ იმ პირის ამ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველი ჯგუფი დაფასდება მისი წევრთა უმრავლესობის სოციალური მდგომარეობის მიხედვით და მის მიერ შემუშავებულ პროგრამით და არა „მნათობისა" და „თემისთვის" სასიამოვნო თუ უსიამოვნო პიროვნებათა მიხედვით. ხოლო ეგეც რომ არ იყოს, თუ თქვენთვის არა სასიამოვნო პირები სარგებლობს და დახმარებას უჩენს აღნიშნულ ჯგუფს, რატომ უნდა იყოს უარყოფილი მათი დახმარება და თანაგრძნობა? ვიმეორებ, საქმე პროგრამაა და მტკიცე მოქმედება ამ პროგრამის მიხედვით. როდესაც დავინახავთ, რომ ჯგუფს ამ მხრივ ჩაუდენია შეცდომები, თქვენთან ერთად არც ჩვენ მოვუწონებთ ჯგუფს ამგვარ საქციელს.

არა, ბატონებო, ყოველივე ეს ცარიელი ლაპარაკია. თავი და თავი სატკივარი ის არის, რომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი დამოუკიდებლად მოქმედებას აპირებს. ეს გარემოება სწყინს „ტფილ. ლისტოკს", „მნათობს" „თემს" „ორიზონს" და საზოგადოდ სომხის ბურჟუაზიის წრეებს. ამ მოვლენას ნათლავენ შოვინიზმად. აქ არის კამათის ძარღვი და დედა-აზრი. საკითხი დაისმის ამგვარად: შესაწყნარებელია თუ არა ეროვნულ ორგანიზაციების შექმნა, ეწინააღმდეგება თუ არა კულტურულ ინტერესებს ამა თუ იმ ერისას ამ ხასიათის ორგანიზაციების ზრდა და განვითარება? და ამასთან ერთად საკითხი სხვანაირადაც დაისმის: იმ ქვეყანაში სადაც რამდენიმე ერი სცხოვრობს მეზობლად, საჭიროა თუ არა ამ ერთა ურთიერთობის მოწესრიგების რაიმე რეგულიატორი, თუ ყოველივე უნდა იყოს მინებებული ბედზე, ვინც გაიმარჯვებს გაიხაროს, ვინც დამარცხდეს, იგლოვოს და ვინც ამ კორიანტელში მოსპობის გზას დადგეს, განისვენოს წიაღსა შინა აბრამისასა?

მე ვსთქვი, რომ ქართველ ამომრჩეველთა დამოუკიდებელი გამოსვლა და მოქმედება ნიადაგს მოამზადებს ეროვნულ პროპორციონალურ არჩევნების სისტემის შემოღებას და რათა გამეადვილებინა საგნის გარკვევა დაწვრილებით გავეცანი ნ. ნიკოლაძის წერილებს ამ საკითხის შესახებ. ვნახოთ ახლა ღირსია ყურადღებისა ეს საგანი, დაკავშირებულია იგი სხვა უფრო ფართო პრობლემებთან, რომელთა გადაწყვეტა მომავალში მაინც აუცილებელი გახდება ჩვენთვის, თუ ყოველივე ჩემი ნათქვამი გამომდინარეობს ჩემს სურვილიდან, განსვენებული სტოლიპინის პოლიტიკისათვის ხელის შეწყობიდან, ან კიდევ რაიმე სხვა საზიზღარ მოტივებიდან?

უნდა ვსთქვა, რომ ეს საკითხი ჩვენს გაზეთში არასოდეს არ ყოფილა განმარტებული, ხოლო იმიტომ კი არა, ვითომ იგი რეაქციონური პრინციპი ყოფილიყოს. წარსულ წლებში, როდესაც ეროვნული პრობლემა რადიკალურად იყო წამოყენებული, დაინტერესებულნი ვიყავით მთავარ პრინციპიალურის საკითხით, ხოლო დეტალური განხილვა ისე საჭიროდ არ მიგვაჩნდა, რადგან გვეგონა, რაკი საზოგადო მოხაზულება პრობლემისა გარკვეული იქნება, ძნელი აღარ შეიქნება მეორე ხარისხოვან საკითხების გადაწყვეტა. გარემოებამ შეაფერხა ამ ხასიათის მუშაობა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებისა. დღეს, ისტორიულ მომენტის ძალ-დატანებით პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა მიეცათ სწორედ ამ „დეტალებს". საქალაქო თვითმმართველობის საკითხი, როგორც ნაწილი ეროვნულ თვითმართველობის დიდ პრობლემისა, დღეს წამოყენებულია ჩვენს წინ არა ამ პრობლემასთან დაკავშირებით, არამედ განკერძოებულად. ამაშია სიძნელე ამ საკითხის გადაწყვეტისა, რადგან რაც უნდა ვეცადოთ განკერძოებულად განვიხილოთ იგი, ვერ დავივიწყებთ მის კავშირს დიდ ეროვნულ პრობლემასთან. ვერ დავივიწყებთ, რადგან მისი გადაწყვეტა შეუძლებელია იმ დრომდე სანამ ეროვნულ პრობლემაც არ იქნება გადაწყვეტილი.

ამიტომ ჩვენ დღეს ვერ შევალთ ამ საკითხის დაწვრილებით ანალიზში. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ საკითხის ზოგიერთ ელემენტებს.

ნ. ნიკოლაძის სისტემის ღირსება ის არის, რომ მან აღნიშნა, მართალი საქალაქო ინტერესების ვიწრო სფეროში, საჭიროება კანონიერ რეგულიარიზაციისა ეროვნებათა შორის ურთიერთობისა; ის არის აგრეთვე, რომ მან წამოაყენა პრინციპი ეროვნულ ერთეულებისა. ხოლო ამ სისტემის ნაკლულოვანება ის არის, რომ ჯერ ერთი, საქალაქო ინტერესები და საქმეები ქვეყნის დანარჩენ ინტერესებთან და საქმეებთან განკერძოებულად აქვს გათვალისწინებული. ამ სისტემაში თითქოს არა სჩანს, რომ მუნიციპალური საკითხი მხოლოდ ერთი მხარეა ეროვნულ საკითხისა. ნაკლულოვანება სისტემისა კიდევ ის არის, რომ მასში არ არის განსაზღვრული ბუნება და თვისება ეროვნულ ერთეულებისა. საქმე ის არის, ეროვნული გინდ სხვა რამე ერთეული თუ არ არის მატარებელი უფლებისა, თუ იგი იურიდიულ პიროვნებად არ არის აღიარებული, პრობლემატიური ხდება ამ ერთეულის რეალური მნიშვნელობა. გარდა ამისა, ნ. ნიკოლაძის სისტემაში არა სჩანს, თუ რაგვარად სწარმოებს სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფთა ინტერესების ურთიერთობა განსაზღვრულ ეროვნულ ერთეულის ფარგალში.

რათა ჩვენს მსჯელობას მეტი შინაარსი მიეცეს, გადავხედოთ ჩვენზე უფრო დაწინაურებულ, თუმცა ერობაში ჩამორჩენილ ავსტრიის ერთა ცხოვრებას და ვნახოთ, რა აზრი ტრიალობს საუკეთესო მწერალთა შორის ამ საგნის შესახებ. აღსანიშნავი გარემოება ის არის, რომ იქ, ავსტრიაში, ამ საკითხის გადაწყვეტის ავანგარდში სოციალ-დემოკრატია დგას, მაშინ როდესაც ჩვენში იგივე სოციალ-დემოკრატია ან ყურადღებოდ სტოვებს ამ საკითხს, ან კიდევ სწყვეტს მას ავსტრიელ თანამოაზრეების აზრთა წინააღმდეგ.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატია კულტურულ ავტონომიის დამცველია. მის თვალში ავსტრია უნდა იყოს ეროვნებათა სახელმწიფო, ამიტომ თვითეულ ერს უნდა ჰქონდეს მინიჭებული საზოგადოებრივ-უფლებრივი ხასიათი. ერი არის იურიდიული პიროვნება. თუ იურიდიულ პიროვნებათ არ იქმნა იგი გამოცხადებული, არც მისი უფლებათა დაცვა გახდება შესაძლებელი. დღეს ავსტრიის ერები პოლიტიკურ პარტიების მეოხებით ცდილობენ ძალ-უფლების დაპყრობას, და ამ ძალა-უფლების საშუალებით და კმაყოფილებას თავის ერის ინტერესებისას. ამ ძალ-უფლების დამყარების ალიაქოთში ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ერთმანეთს ელობებიან, ერთი ერის წინ წაწევა ჰნიშნავს მეორე ერის უკან დახევას. ამგვარად ზიანდება პოლიტიკური საერთო კეთილდღეობა ფერხდება სოციალური კანონმდებლობა და სხვა. სულ სხვა არის, როდესაც ერი იურიდიული ერთეულია. ამ შემთხვევაში ეგრედ წოდებული ცენტრალისტური-ატომისტური სისტემა ადგილს უთმობს პერსონალურს და ორგანიულს. პერსონალური სისტემა ის არის, როდესაც ერს აქვს მინიჭებული სუბიექტიურ-საზოგადოებრივი უფლება. ამ პერსონალურ პრინციპზეა აგებული კულტურულ ავტონომიის შენობა. კულტურული ავტონომია არ არის ერთად-ერთი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა. არის კიდევ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, რომელიც უახლოვდება ეროვნულ სახელმწიფოს ფიზიონომიას, ხოლო ავსტრიაში ორ დიდ ავტორიტეტს სოციალ-დემოკრატ-მწერლობისას, შპრინგერს და ოტტო ბაუერს, უფრო შესაფერ ფორმად აქვთ აღიარებული პერსონალური ანუ კულტურული ავტონომია.

ჩვენ ახლა არ გამოვეკიდებით ამა თუ იმ ტიპის ავტონომიის ღირსების გამოკვლევას. პერსონალური ავტონომია აქ ჩვენთვის იმიტომ არის საყურადღებო, რომ იგი სწყვეტს ჯეროვანად საერობო და მუნიციპალურ საკითხებს. და აგრეთვე იმიტომ, რომ ახლა უფრო ნათლად სჩანს ის გარემოება, თუ რამდენად არის დაკავშირებული ერთი საკითხი მეორესთან, სწორედ ის, რაც ნ. ნიკოლაძეს სრულიად არ მიუღია მხედველობაში.

საიდან გამომდინარეობს საჭიროება ერის აღიარებისა იურიდიულ პიროვნებად? იქიდამ რომ ერთა შორის ჰსუფევს უთანხმოება და ამ უთანხმოებას ბოლოს ვერ მოუღებს ვერც ერთი ლიბერალურ ხასიათის სახელმწიფოს კანონმდებლობა. ავსტრიის კონსტიტუციაში 1848 წ., არის მუხ. იმის შესახებ, რომ ყოველ ერს ენიჭება გარანტია ხელშეუხებლობისა და უფლება სამშობლო ენის ხმარებისა. მაგრამ ამ მუხლმა ვერ მოსპო ავსტრიაში სწორედ ის ბოროტება, რომელიც აქვს მხედველობაში. ოტტო ბაუერი ამბობს: „როდესაც მაგალითად, პოლონელების უმრავლესობა გალიციის ლანდტაგში წინააღმდეგი გამოდის რუსინებისათვის ახალ გიმნაზიის გახსნისა, რუსინებს ხომ არ შეუძლიანთ საიმპერიო სასამართლოში საჩივარი შეიტანონ და მიუთითონ ამ სასამართლოში სახელმწიფოს ძირათადი კანონი? ვინაიდგან, ვის აქვს მოჩივრის უფლება, თუ კი რუსინთა ერი იურიდიულ პიროვნებას არ წარმოადგენს"..?[1]) არა, „მხოლოდ უფლებრივის გზით შეიძლება ერის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რათა მცხოვრებნი იძულებულნი აღარ იყვნენ ნაციონალურ პარტიებათ დაიყვნენ, რათა ნაციონალურმა მძულვარებამ არ შეაფერხოს კლასიური ბრძოლა". (ibid, 328).

შპრინგერის აზრით, საჭიროა შემოღება ნაციონალურ მეტრიკულ წიგნებისა. ყოველი მოქალაქე თვითონვე აღიარებს თავის ეროვნებას, არჩევნებისათვის არსდება კომუნები და ოლქები. ოლქებრივი თვითმართველობა მოწყობილია თანხმად პროპორციონალურ წარმომადგენლობის პრინციპისა[2]), ოლქებრივი თვითმართველობაც არსდება. ამ თვითმართველობის განკარგულებაშია ფინანსები სკოლებისა და იურიდიულ დახმარების მოსაწყობად.

ოტტო ბაუერი მომხრეა ნაციონალურ კადასტრისა, რომელიც მის თვალში ეროვნულ თვითმმართველობის საფუძვლად უნდა დაიდოს. ნაციონალური კადასტრი 1905 წ. შემოღებულია მორავიაში. იქ დაწესებულია ნაციონალური კოლეგიები, საქალაქო, სასოფლო და საზოგადო კურიები. როგორც კანონი ამბობს, დეპუტატებს ირჩევენ კერძო ეროვნულ კოლეგიებში და ჩეხებისათვის და გერმანელებისათვის დაწესებულია განსაკუთრებული საარჩევნო ოლქები. ოტტო ბაუერს მორავიაში შემოღებული სისტემა არ მიაჩნია საუკეთესო ნიმუშად ეროვნულ კადასტრებისა, რადგან იქ მორავიაში შეწყნარებული არ იყო თავისუფლება ეროვნების აღიარებაში *). „ჩვენ ვითხოვთ, ამბობს ბაუერი, ეროვნულ კადასტრს, როგორც საფუძველს ეროვნულ თვითმმართველობისას და არა როგორც დღევანდელ (ცენტრალურს) პარლამენტში და ლანდტაგში საარჩევნო სიების საფუძველს. და რათა ინტერნაციონალურ ტერიტორიალურ კორპორაციებში (სახელმწიფო, ოლქი, მაზრა, კომუნა), არჩევნების დროს უმცირესობა უწარმომადგენლებოდ არ დარჩეს, საჭიროა, ჩვენის აზრით, პროპორციონალური საარჩევნო უფლებაო" (იმავ წყაროდან, გვ. 370).

ერთის სიტყვით კომუნაში, მაზრაში, ოლქში და სახელმწიფოში ერი აღიარებულია როგორც საზოგადოებრივ-უფლებრივი კორპორაცია, რომლის დანიშნულებაა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრების, მუზეუმების და სახალხო უნივერსიტეტების დაარსება და მოწყობა იურიდიულ დახმარებისა. „ეროვნულ უმცირესობას, ამბობს ბაუერი, ვანიჭებთ უფლებას თავისი საქმეები დამოუკიდებლად აწარმოოს, ეს პროექტი კონსტიტუციისა, შპრინგერის მიერ შედგენილი, სრულიად სპობს ერთა შორის ძალა-უფლობისათვის ბრძოლას. აქ აღარავითარი ეროვნული მძულვარება აღარ აფერხებს კლასთა ბრძოლას... აქ უპირისპირდებიან ერთმანეთს ერთ ეროვნების კლასები. აქ ერთს ერს აღარ ებრძვის მეორე, აქ მუშათა კლასი თავის მოთხოვნათ საკუთარ ეროვნებას ურდგენსო". (ibid, 376).

არავის ეგონოს, რომ ის, რაც სასარგებლოა ავსტრიის ერთათვის უსათუოდ და იმგვარადვე სასარგებლოა ჩვენთვისაც. როგორც ვსთქვით, პერსონალური პრინციპი არ არის ერთად-ერთი გადამწყვეტი ეროვნულ პრობლემისა. შესაძლებელია კომბინაცია პერსონალურ და ტერიტორიალურ პრინციპებისა იქ, სადაც ამისათვის შესაფერი პირობებია. ასეა თუ ისე, ერთა ცხოვრების და ურთიერთობის უფლებრივ ნიადაგზე ჩაყენება, განსაზღვრული რეგულიარიზაცია ამ ურთიერთობისა, როგორც მუნიციპალურ, საერობო ისე უფრო დიდ სათვითმმართველო ერთეულების ფარგალში—ჩვენი დროის, მოწინავე დემოკრატიის და პროლეტარიატის მიერ წამოყენებული ლოზუნგია. და, რაკი ერთხელ იქნება, შესდგებით ამ ნიადაგზე, არ ასცდებით არც ეროვნულ საარჩევნო უბნებს და ოლქებს, არც პროპორციონალურ წარმომადგენლობის პრინციპს, განსაკუთრებით იქ, სადაც რამდენიმე ერი ერთ ტერიტორიაზეა შერეული და სადაც კულტურულ თვითმმართველობის გვერდით ტერიტორიალური თვითმართველობაც გაშლის ფრთებს და განვითარდება ეს გახდება სავალდებულო და აუცილებელი თქვენთვისაც.

არავის ეგონოს, რომ ამ ხასიათის შესაფერის პროექტის წარდგენა ყოფილიყოს საჭირო ქალაქის საქმეებისთვის საგუბერნიო საკრებულოში; ვინც ამას მოელოდა ჩემგან, იმედები გაუცრუვდება. როდესაც წინა წერილში დღევანდელ ისტორიულ მომენტზე ვლაპარაკობდით და მასთან დაკავშირებაზე ეროვნულ საკითხისა, ეს კავშირი იმეჟამად უკვე არსებულ ფაქტად არავის მოელანდა, კავშირი აქ იდეოლოგიურია და არა ფაქტიური. მხოლოდ ისინი კი, ვისაც აფრთხობს ეროვნული ორგანიზაციები, თუნდ იმგვარი ხასიათისა, როგორიც არის ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი, კარგს იზამენ თუ ჩაუფიქრდნენ, რომ ამ ორგანიზაციების ზრდა-განვითარებაშია სწორე და უტყუარი გზა ეროვნულ მტრობის ქიშპობის მოსპობისა.

რაც შეეხება სომხებს, თუ მათ ამ ხასიათის მომავალი პერსპექტივა აშინებთ, აშკარაა, უფლებრივი კალაპოტი მათთვის, როგორც უფრო ძლიერთათვის გაცილებით ნაკლებად ყოფილა სასარგებლო, ვიდრე ჩვენთვის, სუსტებისთვის, რომელთათვისაც უფლება და რეგულიარიზაცია ურთიერთობისა გარანტია იქნება სამართლიანობისა და უზრუნველობისა. თუ ისინი მომხრენი არიან სტიქიური, რეგულიარიზაციის წინააღმდეგი რეჟიმისა, რომელიც მარტოოდენ არსებულ სამოქალაქო კანონებით ისაზღვრება, აშკარაა, რომ მათ სურთ ეკონომიურ უპირატესობის შერჩენა და კიდევ მეტად გაძლიერება. მაგრამ ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ სომხის ერში არიან ელემენტები, რომელთათვის უცხო არ იქნება, რასაც ჩვენ ვამბობთ და რაც გვწადიან. არ იქნება უცხო, რადგან ჩვენ არავის დაჩაგვრა და დამცირება არა გვსურს, პირიქით, ხმაც იმიტომ ამოვიღეთ, რომ დაჩაგრული და დამცირებული ჩვენი თავი მიგვაჩნია. ჩვენ დიდ ფასს არ ვაძლევთ ზოგად—კაცობრიულ ფრაზეოლოგიას. ჩვენ გვინდა ძმობის რეალური გარანტია. და თუ ამაშია ჩვენი დანაშაულობა გვითხრან მაინცა გულახდილად.

არჩილ ჯორჯაძე.

---

[1]) Національный вопросъ и соціалдемократія გვ. 292.

[2]) Нація и Государство (ხინოპტიკუსის ფსევდონიმით) გვ. 66,

*) ბაუერის აზრით, უსათუოდ დაწესებულება კი არ უნდა სწყვეტდეს მოქალაქის ეროვნულ ჩამომავლობას, არამედ ამ მოქალაქის სურვილი და განცხადებას.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** 23 სექტემბერს, საღამოს, გორში გაემგზავრა ჯარის ალლუმზე დასასწრებლად.

✦ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი გუშინ თელავს გაემგზავრა. როგორც ამბობენ, გუბერნატორის წასვლა გამოუწვევია თელავში ყაჩაღობის გაძლიერებას. თელავში მოახდენს სოფლელთა ყრილობებს ყაჩაღობის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

✦ **ფინანსთა სამინისტრომ** ნება დართო გორის მაზრის სოფ. ქვემოჭალის საზოგადოებას, ორის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ამ სოფელზე დარჩენილი სხვა და სხვა გადასახადი, სულ 386 მან. 88 კაპ.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტერმა** ბოქაულებსა და მაძებარ პოლიციის უფროსს მიწერილობა დაუგზავნა დაკარგულ 15 წლის გიორგი **მირველიშვილის მოსაძებნად**, რომელიც გუდაურის მისახვევში, № 3 სახლში სცხოვრობს, სასტიკი ზომები მიიღონ.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათ, 26 სექტემბრის ნაცვლად 29 სექტემბერს დაინიშნა.

✦ **ქალაქის სატეხნიკო კომისიის** კრება, რომელიც 23 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა გამოუცხადებლობის გამო.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება 23 სექტემბერს მოხდა. პირველად კომისიამ განიხილა საკითხი ხორცის ნიხრის დაკლების შესახებ და საჭიროდ დაინახა, ცხვრის ხორცს 1 კაპ. დააკლოს, ე. ი. გირვანქა 14 კაპ. ნაცვლად 13 კაპეიკი გაჰხადოს. მეპურეთა შუამდგომლობა პურის ნიხრის მომატების შესახებ კომისიამ უყურადღებოდ დასტოვა.

✦ **ხარფუხის ახალ ბიბლიოთეკის** შენობის დასაგირავებლად

ქალაქის გამგეობამ 180 მან. გადასდო. ამ დადგენილებას გამგეობა ქალაქის საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

◆ მხატვარ კ. ქავთარაძის ნახატების გამოფენა „ახალ კლუბში“ უკვე დაიხურა. 90 სურათიდან 70-მდე გაიყიდა. [illegible]დაწვრილებით ცნობებს შემდეგ მოვათავსებთ.

◆ პანაშვიდის გადადება. განსვენებულ ფილიმონ ქორიძის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნული პანაშვიდი გადადო ორშაბათ, 26 სექტემბრიდან კვირას—2 ოქტომბრისთვის.

◆ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: სამი მოთხრობა ვ. ყიფიანისა, სახალხო გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა. წიგნში სამი მოთხრობაა მოთავსებული და ერთ შაურად ღირს.

◆ მიწად-მომწყობ და მიწად-მომქმედ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებული გუშინ-წინ ბათომს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს შავის ზღვის კიდის სასოფლო სამეურნეო გამოფენის მოწყობის თაობაზე სათათბიროდ. ეს გამოფენა ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება. გამოფენილი იქნება ნიმუშები; მეღვინეობისა, მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა, მებაღეობისა და სხვა.

◆ სანტამარინელაში დალუპულ მიხეილ თამარაშვილის სულის მოსახსენებლად დღეს, ნაშუადღევის 1 საათის ნახევარზე, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თაოსნობით პანაშვიდია დანიშნული.

◆ რედაქციამ მიიღო „სორაპანის“ ამხანაგობის მიერ გამოცემული „დრამები და კომედიები“. წიგნი შეიცავს 350 გვერდს და სუფთად არის გამოცემული. შიგ მოთავსებულია: 1) მსხვერპლი, დრ. 3 მოქ.—ი. გედევანიშვილისა, თარგ. ვ. გუნიასი და სხვათა: 2) „აირია მონას ტერი“, კომ. 3 მოქ., 3) „გაბატონებული მსახური“, კომ. 1 მოქ., 4) „პარიზელი ბიჭი“, კომ. 2 მოქ., 5) „რეპეტიცია“, ხუმრ. 1 მოქ., 6) „დიდ როლს ვთამაშობ“, ვოდ. 1 მოქ., 7) „ცელქები“, ხუმ. ვოდ. 1 მოქ. წიგნი ღირს 1 მანეთად.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების „მომავალი“-ს წევრთა საგანგებო კრება, დანიშნულია დღეს, 25 სექტემბერს, შუადღის 3 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლში.

◆ ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების წევრთა კრება ამ კვირია მოხდება. კრება მოისმენს მოხსენებას აბასთუმანის სანატორიის შესახებ.

## სასწავლებლებში

◆ მიწად-მომქმედ და მიწად-მომწყობ მთავარ-გამგის რწმუნებულმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასწავლებელში კურსის დასამთავრებელ გამოცდაზე ასისტენტებად დანიშნა: მსწავლული ბაღოსანი ბოტანიკურ ბაღისა სავიჩი, ბუნების მეტყველობაში, მეღვინეობაში და მებაღეობაში, ხოლო მებაღოსნე ჟამკოვცევი პრაქტიკულ გამოცდაზე. გამოცდა 7 ოქტომბერს დაიწყებადა 17 დასრულდება.

## სასამართლო.

◆ სამხედრო-საოლქო სასამართლოში 22 სა და 23 სექტემბერს გაირჩა სპარსეთის ქვეშევრდომის მარიამ ივანეს ასულის ნაზარბეგის საქმე, რომელსაც 102 მუხლის პირველი ნაწილის ძალით „ჰინჩაკისტების“ პარტიის წევრობას აბრალებდნენ. სასამართლომ ბრალმდებელს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და 6 წლის კატორღა მიუსაჯა. ბრალმდებელს ცნობილი ნაფიცი ვექილი პროფესორი კუზმინ-კარავაევი იცავდა.

## პროვინცია

◆ სოფ. ნაფილნარი (ტფილისის მაზრა). სოფ. ბერგეთიდან მომავალმა ნავრუზ გაჯან ოღლიმ თანამგზავრს ქადს, თედი კიზის, ჯიბიდან 107 მან.) 30 კაპ. წაართვა და მიიმალა.

◆ სოფ. სამშვილდე (ტფ. მაზ.) სარქის გევადდოვმა სოფლის სამმართველოს კანცელარიაში მამასახლისს, ბაგრატ ქამართვს შეურაცხყოფა მიაყენა. შემდეგ ბეჭედი და ხამამასახლისო ძეწკვის წართმევა მოუნდომა, მაგრამ სოფლის დარაჯებმა შეიპყრეს და საქმე ბრალმდებელს გადაეცა.

◆ სოფ. მამკოდა (ტფილ. მაზ.) ივანე გეგეშაშვილი ფეხში ნახშირსა სწვავდა. ფეხი დახურა და ზედ დაიძინა. ნახშირის სუნს დაებნიდა და მეორე დღეს მკვდარი ნახეს.

# ტფილისის ქართველ ამომრჩეველთა მოწოდება

ქართველ ამომრჩეველთა მთავარმა ბიურომ მოწოდება შეიმუშავა, რომლითაც ტფილისის მცხოვრებთ მიმართავს.

ქალაქის მცხოვრებთა ინტერესები მოითხოვს, რათა თვითმართველობისადმი მონიჭებული კეთილდღეობა ყველა მცხოვრებთა შორის ნაწილდებოდეს, ეროვნებისა და კლასის განურჩევლად.

სხვა და სხვა ეროვნებით დასახლებულ ტფილისში კი, სადაც ერთი რომელიმე ეროვნება არა სჭარბობს და ამიტომ ეროვნული ჯგუფების შედგენა ბუნებრივია, ქალაქის მეურნეობა, განსაკუთრებით არსებულ საქალაქო დებულების გამო, მხოლოდ შეძლებულ კლასს ჩაუვარდა ხელში, უმთავრესად კი მხოლოდ შეძლებულთა.

სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი, აგრეთვე სომხის დემოკრატიული ნაწილი, გარედ რჩებოდა და ადგილი არა ჰქონდა და თუ ჰქონდა მეტად მცირე.

ამისთანა მდგომარეობა ყოველთვის ეროვნულსა და კლასიურს ბრძოლას იწვევდა. ამიტომ საჭიროა ქალაქის საბჭო განახლდეს დემოკრატიულ უმრავლესობის სურვილისამებრ, რომელიც ქალაქის უმეტესობას წარმოადგენს და ეროვნულ ბრძოლის შესასუსტებლად საჭიროა წინდაწინვე შეთანხმება ამომრჩეველთა სხვა და სხვა ჯგუფისა ყველა ეროვნებისაგან ხმოსნების გასაყვანად.

ტფილისში მოსახლე ყველა ერთა შორის, ისტორიულ, პოლიტიკურ, ადათ-ჩვეულებათა და ეკონომიურ მიზეზებისა გამო, ამჟამად ქართველები მშობელ ქალაქის მეურნეობის მართვა-გამგეობიდან თითქმის სრულებით გამოდევნილნი არიან.

მათი რიცხვი საგულისხმოა, 70,000 აღწევს, მაგრამ საერთოდ ისინი მცხოვრებთა უმცირესობას წარმოადგენენ, ხოლო გაბატონებული უმრავლესობა კი ანგარიშს სრულიად არ უწევს.

სკოლისა, ეკლესიისა და სხვა ეროვნულ საკულტურო დაწესებულებათა საკითხს, რომელნიც, როგორც საქართველოს დედა-ქალაქში, ტფილისში არსებობს, ქართველობას უფრო მეტის ენერგიითა და გულმოდგინით შეუძლიან მათთვის იზრუნოს, რადგან თავის ხალხთან უფრო ის არის ახლო მდგარი და მის მოთხოვნილებას უფრო ადვილად მიჰხვდება.

ამასთანავე ის გარემოებაც გახსოვდეთ, რომ ტფილისში მცხოვრები ქართველობა თავისი ქონებრივი მდგომარეობით, მიმართულებითა, კლასობრივი შემადგენლობით, (მდაბიო მოქალაქენი, ხელოსანნი, ჰოიჯარადრე გლეხნი, მუშები, წვრილი ვაჭარნი, პატარა სახლის პატრონნი და ინტელიგენცია), როგორც მასსა, დემოკრატიულ ელემენტს ეკუთვნის და საბჭოში მსხვილ ბურჟუაზიის ბატონობისას, მისი მსახვრელი ხელი სხვა ერთფეროვან ელემენტებთან ერთად, უპირველესად ყოვლისა ქართველობას ხვდება.

ქართველობა უმეტეს ნაწილად ხელმოკლე ხალხია, ან ძალიან ნაკლებ უზრუნველყოფილი, თუმცა გადასახადის მძიმე ტვირთი მას უფრო აწევს კისრად, ვიდრე შეძლებულთ, და ამიტომ, როგორც სხვა ქალაქებშიაც, ყოველთვის ამისთანა ელემენტებს ემართებათ, საჭიროებისა და გვარად ქალაქის თვითმართველობის კეთილდღეობით ვერა სარგებლობს.

ამ გარემოებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ქართველები, როგორც ხელმოკლე ხალხი, ქალაქის მიყრუებულსა და განპირა უბნებში სცხოვრობენ.

ამ მიყრუებულს უბნებს ქალაქის საბჭოში გაბატონებული ჯგუფი ყურადღებას არ აქცევს, რადგან უმთავრესი ინტერესი მას მხოლოდ ქალაქის შუაგულზე აქვს, მის გაშენებასა და კეთილდღეობისათვის ზრუნავს და განაპირა უბნები კი მოკლებულია განათებას, წყალსა, არხსა, ქუჩებსა, სკოლასა, ტრამვაისა, საექიმო დახმარებასა, ბაზარსა და სხვა საჭირო და კულტურო დაწესებულებას.

ყველა ამას ქალაქის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებზედაც აქვს გავლენა, რომელნიც ქალაქს უპირველეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ სანოვაგით ასაზრდოვებს. მათს ინტერესებზე, რომელთა დაუღალავ შრომისა და გარჯილობის გარეშე თვითონ ქალაქის არსებობაც კი წარმოუდგენელია, ქალაქის საბჭო არ უნდა ივიწყებდეს, მით უმეტეს, რომ, ერობის უქონლობისა გამო, მათთვის მზრუნავი არავინ არის.

ყველა ამას ტფილისის ამომრჩეველთა არჩევნებისადმი წარმოუდგენელი გულგრილობაც რომ მიუმატოთ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ გულგატეხილობა, დაჩაგრულობა და შეერთებულ მუშაობისთვის საჭირო ზრუნვის უქონლობა, მაშინ ყველასთვის გასაგები შეიქნება, თუ დემოკრატიულ ელემენტის დასაკმაყოფილებლად, ტფილისის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს სამართლიან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ქართველების დავიწყებულ ინტერესებისთვის, დაჩაგრულთა, უძლურთა დასახმარებლად, რათ დავაარსეთ ყველა უბანში ცალკე, ქართველ ამომრჩეველ ჯგუფთა ორგანიზაცია.

ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის მიზანი ეროვნებათა ურთიერთობის გამწვავება არ არის, რომელიც წინანდელ სამუნიციპალიტეტო მოღვაწეთა მიერ წარმოებულ შეხლა-შემოხლის შედეგია; თვით ცხოვრება კი და ტფილისში არსებული საეკონომიო ურთიერთობა შეგნებულ ელემენტს უკარნახებს, ისეთი სოციალ-ეკონომიური პირობები შექმნას, რომელიც მათ შორის შუღლებს მოსპობს და ძმობა-ერთობას დაამყარებს.

ამიტომ, ჩვენ, ქართველი ამომრჩეველნი, მოვუწოდებთ სამუნიციპალიტეტო მოღვაწეობა-საქმეში პროგრამით ჩვენთან ახლო მდგომთ, თავისი ხმა მოგვცენ და ჩვენის პროგრამის განხორციელებაში ხელი შეგვიწყონ.

(დასასრული იქნება)

# მღვდ. მიხეილ თამარაშვილი

(ბიოგრაფიული ცნობანი).

ქართველმა საზოგადოებამ დიდი საუნჯე დაჰკარგა. შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა გამოჩენილი ისტორიკოსი მღვდელი მიხეილ (არა მიქაელი) თამარაშვილი!

შესანიშნავი და წასაბაძია ამ ღირსეულ ადამიანის ცხოვრება. მღვდელი მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1861 წელს ქალაქ ახალციხეში. მამა მისი—პეტრე და დედა გაიანე ხელ-მოკლე ოჯახის პატრონნი იყვნენ. პეტრე მერუშე იყო. ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალი.

სიღარიბის გამო შვილების განათლებაზე ვერ ზრუნავდა და ცდილობდა, შვილებისთვის ხელობა ესწავლებინა. შუათანა შვილმა მიხეილმაც, ახალციხის ერთკლასიან საეკლესიო სასწავლებელში ქართული წერა-კითხვა ისწავლა. შემდეგ, ხარაზს მიაბარეს. მაშინ ძლივს-ძლივობით სწერდა ქართულად და საეკლესიო ლოცვები ჰქონდა გაზეპირებული. სკოლამ ამის მეტი ვერა შესძინა რა.

1874 წელს მიხეილ თამარაშვილი, გარემოების გამო იძულებული იყო ქუთაისში გადასახლებულიყო თავის უფროს ძმას—სოლომონთან, რომელსაც იქ ბაყლის დუქანი ჰქონდა; ახალგაზდა მიხეილ თამარაშვილი ძმის დუქანში იჯდა წუღებსა ჰკერავდა, იგი მშვიდი, წყნარი ხასიათისა იყო და ცუდ ამხანაგებს არ ასდევდა. მუდამ ფიქრებში წასული, მოცლის ჟამს სასულიერო წიგნებით ირთობდა თავს; ბეჯითად კითხულობდა პერგამენტზე დაბეჭდილს ხუცურ დაბადებას.

სწავლის სურვილი მაინც დღე-და მოსვენებას არ აძლევდა და 17 წლის ახალგაზდამ ისურვა სასულიერო წოდებაში შესვლა. ამ მიზნით თამარაშვილი 1878 წელსა სტამბოლს წავიდა თავის ძმების ხარჯით და შევიდა მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მონასტერში; მღვდლად იქ იკურთხა. სტამბოლში ქართველ კათოლიკების მონასტერში კარგა ხანი დაჰყო, რადგან მაღალი ნიჭი და დიდი შრომის უნარი გამოიჩინა. ის სწავლის გასაგძელებლად რომში, გაგზავნეს, სადაც ლათინური, ფრანგული და იტალიურ ენები საფუძლიანად შეისწავლა. თუ არ ვცდებით, რომში წმ. იუსპერ საქრისტიანო სასწავლებლის გამგედ იყო.

შორს გარდახვეწილმა მამა მიხეილ თამარაშვილმა არ დაივიწყა თავისი საყვარელი სამშობლო: თავისი სწავლა განათლება იმის სამსახურს მოახმარა. არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს, დღე ღამ შრომობდა სხვა და სხვა წიგნსაცავებში, სადაც დავიწყებას იყო მიცემული. მრავალი მდიდარი, სასალები ჩვენს სამშობლოს შესახებ. საქვეყნოდ გამოაშკარა და გვაცნობა ჩვენი ქვეყნის წარსული დიდება.

იმისი ნაშრომია: 1, კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის მე XIX საუკუნეში 2, პასუხად სომეხ-მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას;

3—საქართველოს ეკლესია დასაბამიდამ ჩვენს დრომდე, ფრანგული ენით რომელიც ჩვენს ქვეყანას ევროპიელებს აცნობის. ამის გარდა სხვა და სხვა გაზეთ-ჟურნალებში თანამშრომლობდა.

როგორც შესანიშნავი იყო მისი ცხოვრება, ისე გმირული და ტრაგიკული იყო მისი სიკვდილი.

განსვენებულის სულის მოსახსენებლად 21-ს სექტემბერს წირვა და პანაშვიდი იყო ქართველ კათოლიკების ეკლესიაში.—დაესწრნენ მრავალი წარჩინებული ქართველები და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი. წირვის შემდეგ მიუსამძიმრეს სამღვდელობას და მცირე ბაასის შემდეგ დაადგინეს იქ დამსწრეთა და თავადაზნაურობის წინამძღოლის თანადასწრებით მამა თამარაშვილის ნეშტის გადმოტანა ტფილისში, ამ საქმისთვის შედგა რამდენიმე პირისაგან კომისია, რომელმაც უნდა აღსრულებაში მოიყვანოს ეს სასიამოვნო წადილი.

ს ხაგრელი.

# თელავის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და ქალაქის გამგეობა

6—7 წელი იქნება რაც თელავში არსებობს დასახელებული სასწავლებელი, რომლის საქმის უკეთესად და-

# გამომშვიდობება.

## კ ა ხ ე თ ს

(ძღვნად შალ. დადიანსა და ელ. ანდრონიკაშვილს).

გაათასკეცდი თანამგზავრო
ჩემო ღონებავ...
სატრფოს ვშორდები, გესმის?!—
სატრფოს!—შფოთდე გონებავ!

I

ნახვამდის ჩემო საყვარელო, ტურფა კახეთო,
ჩემო ამზრდელო, ძუძუ-ტკბილო, ძუძუვ მშობლისავ;
შენც, ალაზანო, დიდ მთის მკერდზე ჩამონაწვეთო,
ნელო მდინარევ მტირალ სატრფოს თვალთა ცრემლისავ.
ნახვამდის ჩემო სულის კვნესავ, გულის ტკივილო,
უკანასკნელად შენს გარემოს ვესაუბრები;
ვინ იცის, იქნებ ვეღარას-დროს გიხილოს თვალმა
და ვერც მოევლოს შენს მწვერვალებს ჩემი ფიქრები.

II

განშორებასთან მაგონდება ის ყრმობის წლები,
როს, ვით ირემი, შენს ქედებზე მიმოვიდოდი;
და უზრუნველი, ლხენით სავსე, გალაღებული,
შენი სახელის და დიდების ჰიმნს გიგალობდი.
მახსოვს, როდესაც ნიავივით ზურმუხტის ველად,
ცვარ-ნამით ფურჩქვნილ ნორჩ ყვავილებს დავუძმობილდი,
და განთიადზე ჰანგ-მკვნესარე ბულბულის სტვენას,
მეც შევუერთე სიმთა ჟღერა, მეც ავხმატკბილდი.

III

გაჰქრა ის დროცა... თავს გადმევლო როგორც ღრუბელი,
მხოლოდ-და დამრჩა მისი ხსოვნა, დროთ მოგონება;
და ჰა, ვშორდები თვით ამასაც თვალცრემლიანი,
მწუხრი მაცილებს... წინ მიმიძღვის სულის ღონება.

ყვარელი. შუამთა. 25 აგვისტო, 1911 წ.

ბ. ქუჩიშვილი.

# უკანასკნელი ღაღადი

(დაუვიწყარ ბაბო ჩერქეზიშვილის ხსოვნას).

სადღაც შორს, აშმორებულ ხევ-ხუვში რაღაც განგებით თეთრი ყვავილი უმზეურად ამოსულიყო. პირად ამოცვენილი მწვანეთ ამღვრეულ წყალში ბუნდოვანად ჰხედავდა თავის თავს და სძულდა თავისი სახეც, თვისი სიცოცხლეც. ყვავილი კი წმინდა იყო, ვით მზისა სხივი და უმწიკვლო, ვით აჩრდილი, იუდას წინ მოვლინებული, მაგრამ, ის მწვანე გუბე. მის სინაზეს სარკეობას ვერ უწევდა და, ისედაც ბედით შავბნელს, ზიზღითა სწვავდა. ყვავილი ჰაობს თვალს არიდებდა, არ უცქეროდა შიგ დაბრეცილ თვის სახეს, მაგრამ, როგორც ტყვე საპყრობილისა, სასო მიხდილი, განა სხვას რას დაინახავდა, ან სხვას რას განიცდიდა, თუ არა სამარეს, ცოცხლისათვის გამზადებულსა და ბნელ კედლებს სინესტისაგან აცრემლებულსა?

ყვავილს გარშემო ჭარბს მხოლოდ დამპალი ხავსი გარს მოეფინა და უმრავლესი ბაყაყები გაეჩინა.

ხსნა იყო, მაგრამ ის ხსნა სიკვდილს უფრო უახლოვებდა, მის წამებას და მის გრძნობას მუნჯად და ჯოჯოხეთად ჰქმნიდა. იგი მაინც მხოლოდ ზემოდ, მთის წვერვალს, შესჩერებოდა და თან დნებოდა, ეწამებოდა.

შორს, სივრცეში ატაცებული მწვერვალი დიდებული იყო მუდამ, მაგრამ მაშინ უფრო თვალ წარმტა-[illegible]

[illegible] ბნელებულთ, რაღაც საიდუმლოებით ჰბურავდა. სთვლემდა მოწყენილი და დაყურსებული არე მარე; მის მწვერვალს კი დიადი შუქი ჯერ კიდევ ადგა და ცის სიღრმეში, როგორც საყდარში დავიწყებული სანთელი მშვიდად ბრწყინავდა, მიუწვდომელი და მშვენიერი. უკანასკნელი მზის სხივი მიბნედილივით განისვენებდა იმის წიაღზე და შემდეგ კი, თითქოს გრძნობით, ნელა დნებოდა და შორდებოდა. მოუსვენარი გრიგალი, რომელიც ძირს გმინვასა და კბილთა ღრჭენას ჰქმნიდა, მის მყუდროებას ვერასოდეს დაარღვევდა, ვერ შეარყევდა იქ გამეფებულ დიად სიმშვიდეს, სადაც ოდესმე, თვით „ოლიმპი“ განისვენებდა.

შავი ღრუბლები, ძირს ყველასათვის შიშის აღმძვრელნი, ქვემოდ სალ კლდეებს გარს ეხვეოდნენ, მაგრამ იქ არას დროს არ მიახწევდნენ, სადაც ბინა ნათელ დაედო და სხივთა კრებას.

ყვავილი მუდამ მხოლოდ ზემოდ იცქირებოდა, მის სიდიადეს მუნჯის მგზავსად შეჰყურებდა და თან ჩუმად ცრემლად დნებოდა, ნელა ჰქრებოდა.

მყუდრო ბინდის ჟამს, ყვავილი მეტად მინაზებული და მოქანცული მთელ ჰავის ძალ-ღონეს სმენადა ჰქმნიდა, რომ იქნებ მის, წვერვალიდან ვერცხლის ფრად დაქანებული და მოელვარე წვაროს ჩუხჩუხისათვის ყური მოეკრა და მის წკრიალში გაეგონა მალვა მისი [illegible]

გულშემზარავად გაჰყიყინებდნენ; ყრუვდებოდა იმ განგაშით ირგვლივ სულ ყველა; აღარ ისმოდა ნაძვთა იდუმალი შრიალი, ფოთლებთა შორის ნიავი ჩურჩულით უცხო ლეგენდებს ვეღარა ქმნიდა. ყვავილი წელში მწუხარებით ღრმად იხრებოდა და უღონო, სუსტი, უძლური მხოლოდ ჩუმად ცრემლად დნებოდა.

ცისკრის ჟამს, როცა ბაყაყნი მის ნათელს ხავსის ქვეშ ემალებოდნენ, მაშინ ყვავილი ისევ მაღლა თვალს აშტერებდა და ხანგრძლივ ღაღადს განთიადისას სირენას მგსავსად წყნარად ამბობდა: „ახ განგებავ, უსამართლოვ, შემიბრალე! გული მეწვის, დავიფერფლე, მაგრამ ისევ სული შფოთავს და წამება სადღაც მიმწევს. ახ განგებავ, თუ ხსნას ჩემთვის არ იმეტებ, გული მაინც დამიმიწე, მატყუარა მხედველობა დამიბრმავე, თორემ იქნებ ეს მთა ესე დიდებული, მშვენიერი არ სუფევდეს, იქნებ თვისი მე საზიზღარი ამ ჰაობის ხავსი ვიყვე და გულში კი სხვასა ვგრძნობდე; ჰკუა მხდალი, შერყეული იქნებ მართლა სხვას ვხედავდე და გარშემოს სხვანაირად განვიცდიდე... ოხ, განგებავ თვალთ სინათლე დამიბნელე, გული მალე დამიმიწე, თორემ მტანჯავს მხედველობა, და ნაღველი ეჭვებისა სულს მიწამებს, რომ შენ წმინდა, სანატრელი, დიდებული და ძლიერი უკვდავებას თვალთ შესცქერი და ჩვენ კი აქ...

ახ, განგებავ, არ გრცხვენიან, [illegible]

წამს ისევ ყუნდებოდა, აქეთ იქით იხედებოდა და უფრო ნაზი შეშფოთებული, ღეროზედ რხევით უფრო წყნარად განაგრძნობდა: მიუწვდომელო, გულის დამწველი ჩემი ცრემლები წარღვნათ მაინც მოგვივლინე, რომ უღირსნი, უბედურნი მთლად წალეკოს დაუნდობლად, თორემ შენთვის სირცხვილია, უსამართლოვ და უგულო. იქნებ ამ ბინძურთა და საზიზღართა უბედურობით შენ ძალას იძენ და იმისთვის ხარ მშვენიერი; თორემ ძლიერო, რისთვის გსურდა მათი უშნო არსებობა და ჩემი ტანჯვა.

ახ, ბაყაყებო! მომიტევეთ შეცოდებანი, იქნებ თქვენ უფრო უარესად იტანჯებით, რომ უსამართლომ ბაყაყად შეგქმნათ და არა მზის სხივებად, რომელიც ყველას აცისკროვნებს და ნათლით ჰმოსავს, რომელსაც ყველა მოინატრებს და ღაღადს უძღვნის. მხოლოდ ამას, ამას მივხვდი, ეს მასწავლა ჩემმა ბედმა და უღონობამ.

ყვავილი სირცხვილით თავს დაბლა ხრიდა, მწუხარებით ისევ პირქვე ემხობოდა და მაინც კი საიდამე გამომკრთალ ხმას უკანასკნელად ამასა სთხოვდა; ახ, იქნებ მისკენ მიისწრაფი, მგზავრო ამაყო, იქნებ დაღლილმა ჩემს პირდაპირ დასასვენებლად კლდეზედ ჩამოჯდე და თვალი მოჰკრა ძირს უბედობით აღმოცენილს; ნუ დამინდობ, ქვა მეს როლე, მარად ჩამქოლე, სუსტი უღიანო, და უნაყოფოდ გულით მწუხარე, მაშინ გზა უფრო [illegible]

ყენებამ, როგორც მეცადინეობით ისე მოსწავლეთა რიცხვის სიდიდით, მთავრობის ყურადღება მიიქცია და თბ. სახალხო სკოლების ინსპექტორმა პოგორელოვმა მოიწადინა საკუთარი შენობის აშენება თუ ქალაქი მიწას დაუთმობდა, რისთვისაც მიჰმართა ქალაქის გამგეობას.

რასაკვირველია სხვაგან რომ ყოფილიყო, ძალიან მალე დააკმაყოფილებდნენ ამ თხოვნას, ადგილსაც საუკეთესო ნაწილში მისცემდნენ, ვინაიდან ეს განსაკუთრებით მოქალაქეთა შვილებისათვის შენდებოდა და მეორეცშენობაზე მოხმარებული ფული აქვე დაიხარჯებოდა, მშრომელი ხალხი ისარგებლებდა; მაგრამ რის თელავია, რის ქალაქის გამგეობა და მისი ლორდ-მერი მიხაკა თათუზოვი, თუ-კი ასე მარტივად და სასურველად გაკეთდება საქმე!..

როგორც ჩვენ მიერ ნამდვილ წყაროებიდამ შეკრეფილ ცნობებიდამა სჩანს, ეს საკითხი რამდენჯერმე განუხილავთ ქალაქის „მამებს“, რომელთა უმრავლესობას, რასაკვირველია, სომხები შეადგენენ. ამოურჩევიათ კომისია (ერთი ქართველი—ცისკარაშვილი თუ პაატაშვილიც—მოჰყოლია და მიუნდვიათ ადგილის მოძებნა. აკომისიის ამორჩევით, თუ სხვის ჩვენებით, „მამებს“ ამოურჩევიათ სასწავლებლისათვის ადგილი, რიყის ახლოს ძველ გალავანში (ვის უბანში ეს მკითხველი მიჰხვდება). თუმცა ეს ადგილიც შესაფერისი არ იყო, მაგრამ მაინც არა უშავდა რა. მზრუნველსაც ენახა და მოსწონებოდა. ამის შემდეგ ჩვენ გვეგონა ამ ადგილზე აშენდებოდა სასწავლებელი...

მაგრამ განვლო ცოტა ხანმა, მოხდა ახალი არჩევნები, როცა ქართველი ღირსეული კანდიდატები სულ გააშავეს სომხის შოვინისტებმა და ამოირჩიეს როგორც მაშინა სწერდნენ სომხის მენავთე, მებოჭკე, მეთევზე, მესაათე და სხვა, და თუმცა ჯერ არ გაბედნიერებულან საზოგადო თანამდებობაზე დამტკიცებით და ისევ ძველი ხმოსნები უვლიან ქალაქს, მაგრამ მოხდა ის, რომ სკოლისთვის არჩეული ადგილი გამოიცვალა და სხვამ ახალი ადგილი, გამოიხაა. ეს ახალი ადგილი კი აღმოჩნდა ლორდ-მერი მიხაკა თათუზოვის სახლის მახლობლად, სომხის სასაფლაოს ახლოს, თელავის თავში, მიყრუებულ ადგილას და შორის მანძილზე იმ რაიონებიდამ საიდამაც დაიარებიან შეგირდები.

მაინცა და მაინც აქ, თელავში საკვირველი არაფერია, საკვირველი ის არის, რომ ამ აბბავს ბოროტი ენები უმატებენ, რომ ქალაქის მამასახლისს თათუზოვს ეს ადგილი უჩვენებია სახ. სკოლ. დირექტორ ფიოდოროვსკისათვის და ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ სამოსწავლო უწყებამ ამ ადგილის შენობა ააგოს და ამის ძალით მოითხოვს-საქმის განხორციელებასაო. ამას სველი ენა დასძენს, ალბად თათუზოვი ასე იმისთვის ლოიქცა, რომ სახ. სკ. ინსპექტორი პოგორელოვი უკეთესად იცნობს ქალაქს და იგი არას დროს არ დასთანხმდებოდა იმ ადგილზე სკოლის აშენებას, რომელიც ყოველ მხრივ შეუფერებელია ამ მიზნისათვის, მაგრამ იგი თავის უფროსის წინააღმდეგ ხომ არ წავაო.

ამბობენ-კიდეც, რომ ეს საქმე კარგად იციან ქართველმა ხმოსნებმა პაატაშვილმა და ცისკარაშვილმა (ერთი მათგანი ხომ კომსიის წევრია) მაგრამ ხმას არ იღებენო. თუ ეს ასე არ არის, იმედია სიმართლეს გამოარკვევს ეს ორი პირი.

ასეთი სამინისტრო სკოლა, რომ ქალაქის ყოველ ნაწილში იყოს, კიდევ შესაძლებელია იქ სკოლის აშენება, მაგრამ ეს სასწავლებელი ერთად-ერთია და ყველა მხრის მცხოვრებთ უნდა აკმაყოფილებდეს თავის მდებარეობით. თუ მართლა აქ აშენდა სკოლა, მაშინ ბევრი, ძალიან ბევრი, იძულებული იქნება სწავლას თავი დაანებოს და სამოსწავლო მთავრობაც მხოლოდ მაშინ მიხვდება თავის შეცდომას როცა ეხლანდელი გაფუჭრჩენული სკოლა მალევე დასქცება, მაგრამ, ვაი, რომ მაშინ გვიან იქნება თითზე კბენანი.

სრული იმედია, როგორც ბ-ნი ფიოდოროვსკი ისე ბ. პოგორელოვი, ასწონ-დასწონავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვეტავენ შენობის აგების საქმეს. **მშობელთაგანი.**

## სიყალბით მოხვეჭილი სახელი

ქალაქ მანჯეის ერთს მივარდნილ ადგილს, ბაღოსნობისა და ბოსტნეულობის გამოფენაზე, კავკასიის საბრეშუმო სადგურის ნიმუშები გამოფენილია.

გამოფენის პირველ დღიდანვე საეჭვო ხმა დადიოდა ამ სადგურის მიერ გამოფენილ ნიმუშების თაობაზე.

კავკასიის საბრეშუმო სადგური, ტფილისში 1887 წელს დაარსეს.

დამაარსებელთ აზრადა ჰქონდათ მცხოვრებთა შორის აბრეშუმის ჭიის მოვლა და მოშენება კარგს ნიადაგზე დაეყენებინათ. ამ საქმისთვის ჯერ 123 ათასი მანეთი გადასდეს, შემდეგ, 7 წლის განმავლობაში. სადგურისა და სხვა საჭიროებათა მოსაწყობად (ლაბორატორია, მუზეუმი და სხვა), 189 ათასი მანეთი კიდევ დახარჯეს.

ყოველ წლივ სადგურის საჭიროებისთვის გადადებულ თანხას რამდენიმე ათასი კიდევ ემატებოდა—ზოგიერთ განყოფილებისა და ნაწილის გასაფართოებლად, ან ახალ სადგურის დასაარსებლად.

კავკასიის საბრეშუმო სადგური არა ერთს და ორ სპეციალისტსა და საზოგადოებას დაუთვალიერებია. სადგური მონაწილეობას იღებდა რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოფენაში და ჯილდოსაც იღებდა. პირველად სადგურმა ნიმუშები მოსკოვს გამოფინა: 1892 წელს იგი საზოოლოგიო და საბოტანიკო გამოფენაში მონაწილეობდა, 1895 წელს კი—რუსეთის სამეურნეო გამოფენაში. პირველ გამოფენაზე სადგურმა ვერცხლის მედალი მიიღო, მეორეზე—ოქროსი. ეს სადგური მუდამ მეაბრეშუმეთა გულისყურს იპყრობდა და დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. მაგალითად, 15 წლის წინად მოსკოვის მეაბრეშუმეობის კომიტეტი ამბობდა, კავკასიის საბრეშუმო სადგური მთავრობის ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელსაც მიზნად მეაბრეშუმეობის სისტემატიური გამოკვლევა უნდა ჰქონდეს. უნდა გამოიკვლიოს ჭიის საკვები მცენარეები და თვით აბრეშუმიცაო.

კომიტეტი ამისთანა სისტემატიურ მუშაობის დედაგულად კავკასიის სადგურს აღიარებდა.

არ ვიცით, რა ღირსებისა იყო ამ სადგურის მიერ დღევანდლამდე გამოფენილი ნიმუშები მაგრამ ეხლა მარცხი მოუვიდა. ისეთი მარცხი, რომ მის წარსულის ვარგისობაზედაც ეჭვი გვებადება.

სამწუხაროა ასეთი დასკვნა, როდესაც ამ სადგურისთვის აუარებელი ფული დაიხარჯა.

მის 24 წლის არსებობისთვის მთავრობამ ორ მილიონამდე დახარჯა.

მაგრამ, აი, რა საკვირველი რამ აღმოაჩინეს ზოგიერთმა მცოდნე პირებმა ამ გამოფენაზე გაგზავნილ ნიმუშებში.

სიმართლედაა აღიარებული, რომ სახელის მოსახვეჭად და თავის მოღვაწეობის განსადიდებლად სადგურს თურმე დაუწყია... ყალბ ნიმუშების კეთება.

კიდევ კარგი, სიყალბე რომ მოხერხებულად ჩაედინათ ვფიქრობთ, რომ ჩინებულად მოწყობილ ლაბორატორიაში „სამეცნიერო ნიადაგზე“ სიყალბის დაყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ სიყალბე ძლიერ ადვილი შესამჩნევია: ამას ქიმიის ცოდნაც არა სჭირდება — უბრალო თვალითაცა სჩანს.

კავკასიის სადგურმა აბრეშუმის ორგვარი პარკი გამოჰფინა: მწარმოებელთა მიერ საცდელად საგანგებოდ გამოკვებულ ჯიშთა შორის პირენეისა გრან-კოკო და კორსიკისაც ყვითელის ფერისაა.

ყოველ პარკს, დაკვირვების დროს შეამჩნევთ, რომ თანაბარის ფერისა არ არის და უხერხულად შეღებილს უფრო ჰგავს. უფრო მრავალფეროვნობას წარმოადგენს საგანგებოდ გამოკვებულ ჭიის პარკი.

აქ ქუთაისისაც არის, თერგისაც—მწვანე, არა თანაბრად შეღებილი, კახეთისა—სხვა და სხვა ფერისა, კახეთისავე—ნარინჯის ფერისა, კუმისა—ძლიერ თვალმჭრელი ფერისა, გრან-კოკო, არათანასწორა, უხეშად შეღებილი, ჩინური პაი-პი, ჩინური ხანკოუ, სომონის“ ფერისა, იაპონიური—ამასყველას შეღებვა ემჩნევა.

საგულისხმოა, რომ განსხვავება ერთსა და იმავე ჯიშის პარკშიაც არის. საკოლექციო სხვაა, საწარმოვო—სხვა.

ექსპერტთა კომისია კოლექციის შემოწმებით არ დაკმაყოფილდა და სხვაც კარგად გამოიკვლია.

მოულოდნელი შედეგია: სიყალბე, ნამდვილად დამტკიცებულია.

თითქმის განგებ, კავკასიის სადგურის გვერდით ცვილის სიყალბის ნიმუშებია. რატომ ამ მეზობლად გამოფენილ ნიმუშებს საერთო წარწერა არა ჰქონდა—სიყალბის წინსვლა.

სრულიად არ შეჰშვენის სადგურს, რომელიც კეთილის მიზნით დაარსებულა, ასეთი სიყალბე ჩაედინა, ხალხის მოტყუება და ისიც გამოფენაზე, საზოგადოების თვალწინ ყალბი ნიმუშების გამოფენა სახელმწიფო დაწესებულების მხრივ დიდი გაბედულებაა. („რუსკოე სლოვო“).



## მიიღება ხელის მოწერა

(მხოლოდ 15 ოქტომბრამდე)

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.

**წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.**

ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი). ფოსტის ხარჯად 10 კაპ.



## გამოფენა დონის-როსტოვში

გამოფენა 11 ენკენისთვეს, დილის ათს საათზე გაიხსნა. ამ დროისთვის მოვიდა დონის ოლქის ნაკაზნოი ატამანი, გენერალ-ადიუტანტი მიშჩენკო თავის ამალით, სახელმწიფოს ცხენების სანაშენო მთავარ სამმართველოს კომისიის წევრები, დონ-ყუბან-თერგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრები და მრავალი სხვა. პარაკლისი გადაიხადეს. გენერალმა მიშჩენკომ ლენტი გასჭრა და გამოაცხადა—გამოფენა გახსნილიაო. ასეთი დიდი გამოფენა ცხენებისა პირველად როსტოვში პირველია. განზრახულია ასეთი გამოფენა ყოველ ხუთს წელიწადში ერთხელ ჰმართონ. გამოფენილია 800 მეტი ცხენი, საჯდომი, საჯირითო, შესაბმელი. თითო ცხენის ფასი 200 მანეთიდან 2500 მანეთამდე ადის. ბლომად არის უფრო დიდი ფასის საჯირითო ცხენიც. ჯირითობაზე არიან დაჯილდოვებული ათი, ოცი, ორმოცი, ასი, ორასი, ათასი მანეთით და მეტითაც. ცხენები ხალხის საჩვენებლად და კომისიებში შესამოწმებლად ყოველ დღე გამოჰყავთ. გახურებული მუშაობს ჟიური სახელმწიფოს ცხენების სანაშენოს მთავარ სამმართველოსი, რომელმაც, როგორც წინადაცა მქონდა მოხსენებული, 12000 მანეთი გადასდო იმ ექსპონანტთა დასაჯილდოვებლად, ვინც უფრო კარგი ჯიშის ცხენს გამოჰფენს. გაისმის ჭიხვინი, ჭრიამული. მშვენიერი სანახავია. ლამაზი, სიცოცხლით სავსე ორი-სამი წლის კვიცები ყელმოღერებული, ამაყად მიდიან ხალხის წინ. მრავალი სამხედრო პირნი ახვევიან გარს და მოწონება-დაწუნებაში არიან გართულნი. ბლომადაა ისე ხალხიც.

საქონელი, ორი-სამი ხარის გარდა, არსადა სჩანს. უადგილობისა გამო ჯერ არ მოუყვანიათ. ზოგიერთი სხვა განყოფილებაც შესავსებია. საუკეთესო ალაგას სწრაფად ამზადებენ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ღვინოების განყოფილებას...

მებოსტნეობის განყოფილებაში მონაწილეობას მხოლოდ ერთი—ადგილობრივი მებოსტნე—ივანოვი იღებს. ეს განყოფილება პატარაა, მაგრამ საგულისხმო. მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის განყოფილება კი მეტად ღატაკია. თუ ასეთ მრავალმხრივ გამოფენაზე ასეთს რამეს წავაწყდებოდი, არ მეგონა. გულჩვილ მნახველს თვალზე ცრემლი მოადგება. ორივე განყოფილებაში თითო კაცი იღებს მონაწილეობას. პირველში—კისლოვოდსკელი „მეფუტკრე“ პოდბურტნი, მეორეში—ბატაისკელი გლეხი ყაზიმიროვი. ეს უკანასკნელი არაყ გადახუხული „უხსნის“ მნახველთ აბრეშუმის ჭიის ცხოვრებას, მაგრამ ეტყობა ისეთივე მეაბრეშუმეა, როგორც მე ჩინეთის ვაივუბუ. რამდენიც უფრო მეტს უცქერი ამ განყოფილებებს იმდენი უფრო ბრაზი გერევა ჩვენს მეაბრეშუმე - მეფუტკრეებზე. მაგათ რომ ენებებინათ და ჩამობრძანებულიყვნენ თავიანთ ექსპონანტებით ხომ გამოჩენილს ადგილს დაიკავებდნენ!! მაგრამ ვინ მოგვცა ქართველებს საქმიანობის უნარი... ჩვენ მხოლოდ მზამზარეულს სუფრაზე თუ შეგვიძლიან ყელის მოღერება და შემოძახილი: „ისევ და ისევ ღვინითა, დროც გავატაროთ ლხინითა“...

საინტერესო უნდა იყვეს აგრეთვე მესაქონლეობის განყოფილება. რადგან დონის ოლქში მესაქონლეობა წლითი-წლობით უკან უკან მიდის, ყუბან-თერგის სას. სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია მიიღოს ყოველნაირი ზომები მესაქონლეობის გამოსაბრუნებლად. სამიწადმოქმედო და მიწად მომწყობ მთავარ სამმართველოს დაუდგენია დაეხმაროს ხსენებულ საზოგადოებას დანიშნულ მიზნის განხორციელებაში, განზრახულია იყიდონ გამოფენაზე 74 კალმიკური ხარი თითო 250 მანეთად, 20 ხარი სიმმენტალის ჯიშისა, თითო 400 მან., 230 კერატი (ლორი) და სხვა. ხაზინა აძლევს 87,650 მან. დანარჩენი 55,125 მან. უნდა გადაიხადონ ადგილობრივ თანხიდან.

ცხენების გამოფენა დაიხურება 20 ამ თვეს, 21-დან პირველ ოქტომბრამდე დანარჩენი განყოფილებანი ღია იქნება. **ხან-განა-ძე.**

## მკითხველის შთაბეჭდილება

### 1.

ორმოცმა წელმა უკვე დამასვა თავისი ნიშანი... დამაჭკნო, დამაძაბუნა, მაგრამ ერთხელ შეჩვეულ ჭირს მაინც ვერ გადამაჩვია. ერთ დროს ეს ჭირი კი არა, ჩემთვის ლხინი იყო, რომელსაც ისე შევხაროდი, როგორც „აღდგომის კვერცხს“; მაგრამ საუბედუროდ დღეს ჭირად მიჩანს... რისთვის? ალბად იმისთვის, რომ ეს „ტურფა“ ძლიერ გაიაფდა. გაზეთებზე მოგახსენებთ. რა სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა რედაქტორები იმაზე კი არ ფიქრობდენ, გაზეთს რა სახელი დავარქვათო, არამედ გაჭირვების ოფლი სულ იმაზე ჩამოსდიოდათ, შიგ რა ჩავწეროთო, მკითხველს სულის საზრდოთ რა მივაწოდოთო...

მას ჟამსა შინა გაზეთს ისე უცქეროდით, როგორც ქრისტიანი სახარებას, მაჰმადიანი ყურანს. სამაგიეროდ გაზეთის რედაქტორობა-ხელმძღვანელობა არც ისე ადვილი იყო, როგორც ეხლაა. მაშინ თავის გონების ნაწარმოებს ავტორი ხომ მრავალ გზით შეასწორებდა, მერმედ კიდევ სხვები ასწორებდნენ და ამოწმენდდნენ „ღვარძლს იფქლისაგან არჩევდნენ“. მაშინდელი გაზეთი, რამდენადაც გარემოება ნებას აძლევდა, გამომხატველი იყო საზოგადოებრივ ცხოვრების, დამასურათხატებელი იყო საზოგადოებრივი აზროვნებისა. პირადობა შიგ იმდენად იყო ჩაქსოვილი, რამდენადაც ვისიმე პიროვნება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული იყო. თდეს კი—„ღმერთო ჰფარვიდე მონასა შენსა“.—ყველა მეგაზეთეა, ყველა რედაქტორია. საკუთარი გაზეთი მანიად გადაიქცა, და, ნურას უკაცრავად, თუ მე, 20 წლის გაზეთის მუდმივი მკითხველი დღეს იერემიას გოდებას ვიწყებ... შეჩვეულ ჭირს, გაზეთის კითხვას რა გაეწყობა, თორემ არც კი მინდა დღევანდელი გაზეთების უმეტესობა ვიკითხო!

ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილმა სამწუხარო მოვლენამ მაიძულა მეც ხმა ამოვიღო და გაბედულად სთქვა: „ბატონებო შესდექით, გეყოფათ“! მსურს ზოგჯერ ჩვენის პრესის სიდუხჭირეზე მიუთითო არა როგორც პუბლიცისტმა კრიტიკოსმა, არამედ როგორც უბრალო მომაკვდავმა მკითხველმა. ვიმედოვნებ, ბ-ნო რედაქტორო, ამ ჩემს წერილს დამისტამბავთ და იძულებულს არ გამხდით საკუთარი გაზათი დავიარსო.

დღევანდელი ჩემი შთაბეჭდილება ეხება ამერეთისა და იმერეთის ორ ძმა გაზეთს: „სახალხო გაზეთს“ და „კოლხიდას“; მე ორივესი მუდმივი მკითხველი ვარ და არც ერთს არ ვექომაგები. ორივე გაზეთის „საბოლოვო მიზანი“ არა მწამს, ასე ვთქვათ, მე და ამ გაზეთების ალმსარებლები ერთგვარი მტრები ვართ. მაგრამ მე ეს მაინც არ მიშლის, „ძველი ჩვეულების“ თანახმად, ორივე ვიკითხო ორივეს საზოგადო საქმიანობას თვალი ვადევნო, გასახარელმა გამახაროს, სამწუხარომ დამაღონოს.

გულწრფელად ვამბობ, „კოლხიდამ“ კოლხიდაში არამც თუ ოქროს მატყლოვანი ვერძი ვერ აღმოაჩინა, ჯერ ქეციანი თხაც კი ვერ დაიჭირა. მის „სიტყვა“ წიგნში ასე სწერია: „პირადობასა ზედა რომელი იშვას, იყოს ამპარტავანი, გოროზი, სხვათა გაუტანელი, სხვათა მძარცველი, თავისა თავის ვერა მცნობელი, საჯაოხვრად მოქართულე, დამკინავი, მკილავი გულ ვიცხი. ჟამსა ჰაბუკაბისას სწერდეს ლექსებს ჟამსა სიბერისას ბეჭდავდეს, რომლისა მტკივნეულობითაა სტიროდეს ირემნი, არა ჰქონდეს ნიჭი მახსოვრობისა, მაგრამ არ ოდეს ივიწყებდეს ხონელსა და ბოლტსა“.

რაღა საკვირველია, თუ ასეთს მზესა და მთვარეზე დაბადებული „კოლხიდა“ თავის ეტლის წიგნს არ ღალატებს და მუდამ დოინჯ შემოყრილი ყელაფერს მუსრავს! უტევოთ წარსული „კოლხიდას“ და მივაქციოთ ყურადღება მხოლოდ ახალს. წარსული კვირის ნომერში (403). „სახალხო გაზეთში“ ბ. არ. ჯ—შვილი საყმაწვილო წიგნის „ელისოს“ გამოცემის გამო ზრდილობიანად თავის აზრს გამოსთქვამდა, ამბობდა რომ „ყაზბეგის გადაკეთება მისი ენის შეცვლა არავის შეენდობაო, ვისაც სურს, შეუძლია ადგინოს გრამატიკა, ასწოროს თანი დონად და დონი თანადო, მაგრამ ჩვენ ენის კანონმდებლების ჭავჭავაძე, ყაზბეგს და რუსთაველს ნუ შეეხებითო“. ეგ იყო და ეგ! როგორც ხედავთ, აქ ავტორის საკუთარი მოსაზრებაა გამოთქმული, არავის პიროვნებას არ ეხება. მაგრამ დახეთ, დახეთ, დახეთ „ქურდს ქუთაისში ქუდი დაეწვა“. სილოვანმა მსწრაფი დოინჯი შემოიყარა, განრისხდა: მე ცოცხალი ვიყო, ჩემი გრამატიკა გრამატიკობდეს, ჩემი დონი თანობდეს და სხვას ენის კანონმდებელს უწოდებდენო! განრისხდა და თავისი ბრაზი თავის გაზეთ „კოლხიდის“ 139 №-ში გადმოანთხია, მაგრამ არა როგორც პედაგოგ-პუბლიცისტმა, არამედ როგორც „სურონა მარჩიელმა“. „სახალხო გაზეთ“-ს საბიბლიოგრაფო შენიშვნას ხელს აწერდა არ. ჯ—შვილი, მაგრამ ბ-ნმა სილოვანმა უკადრისი საქმე იკადრა,—არ. ჯ—შვილი გაზეთის ხელმძღვანელად“ გამოაცხადა. ამ ნაირი წამოძახება სოფლელმა რძლებმა იციან... ვერ მივმხდარვართ, საიდან გამოიტანა სილოვანმა ის აზრი, თითქოს, სილოვანისებურად რომ ვთქვათ, „თავისი ბრაზიანი“ რეცენზია ბ ნ ჯ—შვილს იმიტომ დაეწეროს, რომ „ელისოში“ სილოვანის გრამატიკა დაენახოს, და სილოვანი კი „უნდა მოკლულ იქნას როგორც მგოსანი“. აჰა დიდება შენ, ღმერთო! საიდან სადაო—ქუთათურობაო! თუ სილოვანს ჰკლავენ, როგორც მგოსანს, აქ გრამატიკა რა შუაშია? მაგრამ არ ვიცით ეს სილოვან მგოსნის სიკვდილი რომელმა სუსანა მარჩიელმა ურჩია. ნუ თუ შეიძლება, სადაც სილოვანის გრამატიკის დაცვას ენახავთ, ყველა სილოვანს მივაწეროთ და ყველა შენიშვნაზე სილოვანი გაჯავრდეს? სილოვანისვე სასახელოდ ვამბობთ, რომ დღეს მის გრამატიკას მიმდევრები ჰყავს და განა არ შეიძლებოდა „ელისო“ სხვას გადმოეკეთებინა? აქ რაღაც ავადმყოფობის ნიშნებს ვხედავთ, რასაც ექიმები გალიუცინაციის ეძახიან. ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, ვითომც დიდი მწერლის ნაწარმოების საყმაწვილოდ გადმოკეთება არ შეიძლებოდეს, მაგრამ ნუ თუ ამისი შენიშვნა და დამტკიცება ისე არ შეიძლება, რომ ჭირისუფალმა პასტერის საავათმყოფოსაკენ ცქერა არ დაიწყოს!.. რასაჭიროა აქ ბრაზი და ყველა იმ გესლის წამონთხევა რაც „გაკუჭებულ“ ფიცხ გურულს მოადგება...

ნუ დაივიწყებს ბ-ნი სილოვანი, რომ ის უკვე მცხოვანი პედაგოგია, ნუ დაივიწყებს, რომ მის ნაწერებს მისი მოწაფენიც კითხულობენ და ამგვარი გინების ლექსიკონით კვება დღევანდელ აბუჩათ აგდებული საზოგადოებისა თუ შეიძლება, მოწაფეებისა მაინც არ შეიძლება. განა შესაწყნარებელია მოწინააღმდეგის ასეთი ლექსიკონით შექება? დიდი კრიტიკოსი, მეცნიერი, ფაქიზიურება, მასხარად აგდება, საბუდარში კრუხივით კრიახი მჯღაბნელები, პაპულა და სხვა.

ამავე წიაღში ბ-ნი სილოვანი ბ-ნ არ. ჯ-შვილს მისი პატარა წერილის ენას უწუნებს და რიჰით ბრძანებს, ამის შემდეგ „როგორ ბედავ ენის სიწმინდეზე ლაპარაკსო!“ ჩემი აზრით ენის მხრით დღეს ყველაგაზეთი მახინჯია, მაგრამ გრამატიკოსი სილოვანის „კოლხიდა“. აღარც ქართულია აღარც იმერული. აიღეთ იგივე № 139, წაიკითხეთ ფელეტონი აქ შეხვდებით ასეთ მარგალიტებს, რომელსაც რედაქცია ფრჩხილებში არ სვამს და, მაშასადამე, სილოვანის „კოლხიდას“ ქართულად მიაჩნია:

„ისეთი დააფრთქვინა, (?) რომ ხელში ამთილი (?) სანთელი გამიქრა, მებუტკე, ეყვინთებოდა, მებუფეტე, ბუღაობდა, დაამცხინკვა, უპრავა, შარშრუტი, იბუზურებს, ჭინჭყლი ამემგვრა და სხვა. ახალ ამბებში: „სცეპჩიკი“ „ზასტავიტელი“ და სხვა.

იმავე ფელეტონში მართალია ინფლუენციის ბოდვაა, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ რა არის: „ერლიხის შეზხაპუნებამ და იმისთვის მოწყობილმა საჭყეპელმა...“

**გურული მკითხველი.**

## დიდუბის ეკლესიაში

შაბათს, 17 სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში მობრძანდა ამავ ეკლესიის კეთილ მოწყე (ბლაღოჩინი) მამა სოლომონ შოშიაშვილი. მ. სოლომონმა საღამოს ლოცვის შემდეგ გამოკვიცხადა სინოდალურ კანტორის გადაწყვეტილება, რომელიც ამ უკანასკნელმა ჩვენი ეკლესიის შესახებ გამოიტანა მიმდინარე წლის 24 მაისს.

ბევრი მითქმა-მოთქმა გაისმოდა გაზეთებში თუ საზოგადოებაში დიდუბის ეკლესიას შესახებ. ამბობდნენ, ჩვენს ეკლესიას დიდუბეში მცხოვრებნი რკინის გზის სახელოსნოებში მომუშავე რუსები ეპატრონებიანო. მართლაც, ამათ თხოვნით მიუმართავთ საქართველოს ეგზარხოსისადმი ხსენებულ ეკლესიის მრევლის სახელით და მოუთხოვნიათ, რათა ეს ეკლესია სამრევლოდ იქნას გადაკეთებული, ვინაიდან მას, მათი სიტყვით, არც მნათე ჰყავს, არც ვინმე მზრუნველი და ამიტომ „საშინელი უწესოება სუფევს ეკლესიაშიო“...

ასეთ თხოვნის გამო საქართველოს ეგზარხოსს მოუთხოვნია ცნობები ადგილობრივ წინამძღვარის დეკ. ნ. თალაკვაძისაგან და თვით ბლაღოჩინის ს. შოშიაშვილისაგან. პირველს მოუხსენებია მთავრობისათვის, რომ დიდუბის ეკლესია უხსოვარ დროიდან ქართველთ სამრევლო ეკლესია იყო, გარნა, როდესაც ის დაინიშნა აქ წინამძღვრად, ეს ეკლესია უკვე „უმრევლოდ“ ჰქონდა მთავრობას გადაკეთებული. ეხლა კი დიდუბეში მცხოვრებ რუსთ განუზრახავთ ამ ეკლესიის თვისს საკუთარ სამრევლოდ გადაკეთება, რუს კრებულის მოწვევით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ითვლებიან ამ მხარეზე დაარსებულ ხუთ სხვა ეკლესიათა მრევლად: მეორე მისიონერისა, იოანნე ნათლისმცემელისა, ნაძალადევისა, ალექსანდრე ნეველისა და საგანგებოდ რკინის გზაში მოსამსახურეთათვის არსებულ რკინის გზის ეკლესიისა. ამ მხარეში მცხოვრები რუსები უმეტეს შემთხვევაში ხსენებულ ეკლესიათა კრებულს მიმართავენ ხოლმე სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედებათა აღსასრულებლადო“...

ბლაღოჩინს მოუხსენებია არქიელისათვის, რომ „დიდუბის ეკლესია არ ითვლება მთავრობისაგან დამტკიცებულ სამრევლოდ, ის „უმრევლოა“-ო. მაგრამ აქ ეხლა სცხოვრობს ბევრი ქართველი თუ რუსი სახლიპატრონები და ამათგან შეიძლება გაკეთდეს ზორბა (СОЛИДНЫЙ) მრევ-

დით". იმას კი არ ბრძანებს. მამა ბლოლოჩინი, ვის სამრევლოდ უნდა გამოცხადდეს ეს ეკლესია, ან რატომ, რა მიზეზით ჩამოერთვა ქართველებს ამ ეკლესიის მრევლობის უფლება, ან ვის ჰქონდა ნება მათთვის ჩამოერთმია ეს უფლება?!.. ან რა უფლებით უნდა ჩამოგვეზიარონ რუსები ამ ჩვენს ეკლესიაში?! ჩვენ გვაკვირვებს ასეთი შეუთანხმობა ეკლესიის წინამძღვრის და ბლოლოჩინის მოასენებათა!

ორთავ მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ დიდუბის ეკლესიას ჰყოლია და დღესაც ჰყავს ქალაქის საბჭოსაგან ამორჩეული და სასულიერო მთავრობისაგან დამტკიცებული მნათე, როგორც ამას მოითხოვს არსებული კანონმდებლობა „უმრევლო" ეკლესიათა შესახებ. ეხლა მნათედ არის მეორე გილდის ვაჭარი ხარიტონ (იგივე ილია) იოსების ძე ომიაძე. ამასთან ერთად ეკლესიის მართვა-გამგეობას ეწევა ოთხ-წევრიანი კრებული: ორი მღვდელი და ორი მთავარი. ესენივე არიან ეკლესიის მზრუნველნი და რომ რაიმე უწესოება ან უკანონობა ამათ ჩაედინათ, როგორც სჩივიან რკინის გზის მოსამსახურენი, განა სასულიერო მთავრობა დასტოვებდა აქამდე უყურადღებოდ?!... მაგრამ არც მომჩივანნი იუწყებიან თუ რაში გამოიხატა მათ მიერ ნაამბობი—„საშინელი უწესოება" ჩვენს ეკკლესიაში!...

მკითხველებმა უკვე იციან და კანტორის უკაზიც აცხადებს, რომ დიდუბის ეკკლესიის გარშემო რუს-ქართველ მცხოვრებთა აღწერა მთავრობის ბრძანებით მოახდინა ადგილობრივმა პოლიციამ. ამ აღწერით რუსები აღმოჩენილან 432 მოსახლე-ქართველები კი 286. მაგრამ ამათ გარდა კიდევ 208 მოსახლე ქართველმა განსაკუთრებულ რწმუნებულთა პირით თხოვნით მიმართა საქართველოს ექსარხოსს, რომ ისინიც დიდუბის ეკკლესიას ემხრობიან სალოცავად, გარნა პოლიციისაგან შედგენილ სიაში ვერ მოხვდნენ. სთხოვდნენ მათ მეუფებას, რათა ისინიც შერიცხულ იქმნან დიდუბის ეკკლესიის მრევლად. ამასთანავე ითხოვდნენ თავიანთ მამა-პაპეულ ეკკლესიასთან ქართულ სამრევლო ორგანიზაციის აღდგენას და მასში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე მოწესრიგებას, ვინაიდგან ეხლა თითქმის სრულიად განდევნილია აქედგან ქართული წირვა-ლოცვა და მღვდელთ მოქმედებანიო.

მიუხედავად ასეთ თხოვნისა, სინოდალურ კანტორასი გადაუწყვეტია: დიდუბის ეკკლესიასთან აღდგენილ იქნას არეული რუსულ-ქართული (!) სამრევლო; წირვა-ლოცვა სრულდებოდეს იქ არეულად,—ქართულ-რუსულად; მრევლმა ამოირჩიოს მნათე და სამზრუნველო.

ამ სახით კანტორამ უყურადღებოდ დასტოვა ქართველ მორწმუნეთა სამართლიანი სურვილი—რათა მათი უფლება დიდუბის ეკკლესიაზე ცნობილ და აღდგენილ იქნას სასულიერო მთავრობისაგან და წირვა-ლოცვა სრულდებოდეს იქ მათთვის გასაგებ ქართული ენით.

ჩვენ, რასაკვირველია, არ დავკმაყოფილდით კანტორის გადაწყვეტილებამ და ჩვენს რწმუნებულთ დავავალეთ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება სინოდის ობერ-პროკურორთან. ეს საჩივარი ჯერ მიერთვა სინოდალურ კანტორის დანიშნულებისამებრ გარდასაგზავნად. ამ საჩივარში სხვათა შორის ვთხოულობდით—შეჩერებულიყო კანტორის დადგენილების სისრულეში მოყვანა, სანამ ობერ-პროკურორი განიხილავდა ჩვენს თხოვნას. მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში მიუქცევია ყურადღება კანტორას ჩვენის კანონიერ თხოვნისათვის და გვიცხადებს, სისრულეში მოიყვანეთ ჩვენი დადგენილებაო...

ჩვენ მაინც ვერ დავკმაყოფილდებით არეულ სამრევლო ორგანიზაციით და არეულ წირვა-ლოცვით. ასეთი წირვა-ლოცვა ვერ სტოვებს შესაფერ ზნეობრივად—აღმზრდელგამფაქიზებელ გავლენას მსმენელებზე; ამასთანავე რუს-ქართველთა შორის იწვევს უადგილო ქიშპობას და სიძულვარეს,—ამიტომ ასეთი მოვლენა ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს აშკარა ეკლესიურ უკანონობად!

რატომ უნდა ჰქონდეს რუს-ქართველთა შორის ასეთ არა ქრისტიანულ და ბარბაროსულ გრძნობებს ადგილი, როდესაც სულ ადვილი მოსაგვარებელია ორთავ მხარის დაკმაყოფილება უბრალო საშუალებით: რუსებმა, რომელთაც არ ესიამოვნებათ ქართული წირვა-ლოცვა-გალობა, თავიანთ ეკლესიებში ილოცონ, ქართველებმა კიდევ თავიანთში!

ბლოლოჩინმა იმ ღამეს ეკლესიაში დამსწრეთ გამოგვიცხადა რომ მეზობელ ნაცნობთათვის გვეცნობებინა, რათა მეორე დღისათვის ისინიც მოსულიყვნენ ეკლესიაში და მოესმინათ იგივე გადაწყვეტილება კანტორისა.

წირვის შემდეგ მამა ბლოლოჩინმა წაგვიკითხა ეკლესიაში კანტორის ვრცელი უკაზი რუსულად და გვითხრა: „ხო გაიგეთ სუყველამო?!"—ჩვენ ვუპასუხეთ—ვერ გავიგეთ რიგიანად და გთხოვთ ქართულად აგვიხსენით, რაშია საქმეო! ისიც მოგვიყვა რაც დაუდგენია ჩვენი ეკლესიის შესახებ სინოდალურ კანტორას და დაასრულა მით, რომ მნათის არჩევნების საქმე ეკლესიის კრებულმა უნდა მოაგვაროს, იმას მიმართეთო და წაბრძანდა სახლში.

ჩვენცა და რუსებიც ეკლესიის ეზოში ველოდებოდით წინამძღვრის გამოსვლას, რომ პოგვესმინა ის რაღას გვეტყოდა.

მან მოგვმართა შესაფერ დარიგებით—თანხმობით, და ურთიერთადმი პატივისცემით იმოქმედეთ, ნუ გააზვიადებთ ისეთ უბრალო საქმეს, როგორიც არის მნათის ამორჩევაო. ჩვენ გამოვითხოვთ კანტორიდან აღწერილ სიებს მრევლისას, გამოგიცხადებთ არჩევნების დღეს, როგორც აქ ეკლესიაში, ისე გაზეთების საშუალებით,—თქვენც გამობრძანდებით, ვინც სიაში ეწერებით, და ამოირჩევთ მნათედ ისეთ პირს, რომელსაც საუკეთესოდ და საუმჯობესოდ მიიჩნევთ ეკლესიის სამსახურისათვისო.

ჩვენ გვინდოდა გამოვლაპარაკებოდით მამა თალაკვაძეს, მაგრამ რკინის გზის სახელოსნოების ორმა მუშამ ბელოვებმა არ გვაცალეს. ერთმა მათგანმა, რომელიც დიდუბის ეკლესიაში, აგრეთვე მეზობელ ეკლესიებშიაც, კვირა-უქმე დღეებში რუსულად ჟამნ-დავითნს ჰკითხულობს, იქვე, ჩვენის თანადასწრებით, საყვედური გამოუცხადა ეკლესიის წინამძღვარს: ამ ეკლესიაში ჩვენ დავდივართ და ღვთის მსახურებაც რუსულად უნდა სრულდებოდეს. აქ ჩვენი ბავშვებიც დადიან, ისინი უნდა აღიზარდოს წირვა-ლოცვის გავლენის ქვეშ, მათ კი აქ ქართულად უკითხავთ და უწირავთო. მეორემაც ბანი მისცა სახლი კაცს და მოგვმართა ქართველებს—თქვენ ერთიც არ დადიხართ ეკლესიაში, აქ ჩვენ ვართ მუდამ და ჩვენს ენაზედ უნდა იყოს წირვა-ლოცვაო... ჩვენ არ ავყევით ასეთ უსირცხვილო და თავზედ ლაპარაკს, რომ რაიმე უსიამოვნობა არ ჩამოვარდნილიყო. ეკლესიის წინამძღვარმა იმით ლა მოგვიჭრა ყველას სიტყვა, რომ წირვა-ლოცვის შესრულების შესახებ ჩვენ არა გვაქვს ნება აქ ლაპარაკისა, ვინაიდან უკვე მოისმინეთ ბლოლოჩინისაგან კანტორის გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ: „დიდუბის ეკლესიაში ღვთის მსახურება ქართულ-რუსულად უნდა სრულდებოდესო". ეხლა ჩვენ მხოლოდ მნათეზე გვაქვს ბაასი. როდესაც საარჩევნო სიები მზად გვექნება, გაცნობებთ, მობრძანდებით და, ვისაც ინებებთ, აირჩევთ ბლოლოჩინის თავმჯდომარეობით. ამის შემდეგ გვთხოვა ყველანი თავ-თავიანთ ბინაზე წავსულიყავით...

არქიელს მივმართეთ, მან კანტორაში გაგვგზავნა. კანტორამ კი ისე დააყენა საქმე, რომ თან და თან, ნელ-ნელა, დროთა ვითარების გავლენით, ჩვენ გამევებულ ვიქნებით დიდუბის ეკლესიიდან. ჯერ პთავარი დაგვინიშნეს ისეთი, რომელმაც ქართულისა არა იცის რა. ეხლა რუსები მღვდელსაც რუსს თხოულობენ და მისცემენ კიდეც, როგორც ეს წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში მოახერხეს... მგალობლები სლავიანურად ჰგალობენ, ჟამნდავითნსაც ბელოვი უსლავიანურებს. დაგვრჩა კანტორიდან ბოძებულ „ქართულ-რუსული წირვა-ლოცვიდან" მხოლოდ მღვდლების თითო-ოროლა ასამაღლებელი ქართულად, ისიც დროებით...

ჩვენ გვიკვირს, რატომ ეკლესიის კრებული ქართულ მგალობელთა გუნდს არ მოიწვევს?! ნეტავ რას უყურებს?! „ქართულ-რუსული" ღვთის მსახურება ნუ თუ არ გულისხმობს ქართულ გალობას?!.

ჩვენ გვიკვირს ერთი გარემოებაც: როდესაც გაცხარებული პოლემიკა იყო გაზეთებში დიდუბის ეკლესიის შესახებ, მაშინ თავად-აზნაურთა საკრებულოს ორგანო, გაზეთი „ზაკავკაზიე" თითქოს მზრუნველობით თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენს ჭაპანწყვეტას; გვანუგეშებდა, გამოსთქვამდა რა იმედს, რომ სასულიერო მთავრობა სამართლიანად გადასწყვეტს ამ საკითხს და, ნუ ასტეხთ ამ სიწმინდის გარშემო უადგილო განგაშსო! სად ბრძანდება ეხლა გაზეთი „ზაკავკაზიე"? რატომ ხმას არ ამოიღებს?

**დამსწრე მრევლთაგანი.**

# გზა და გზა

## სამეგრელოში

ამ უკანასკნელ დროში, როგორც პროვინციებიდან გამოგზავნილ წერილებიდან სჩანს, ხალხი თითქოს იღვიძებს კულტურულ ცხოვრებასთვის. თითქმის ყოველ მხრიდან ისმის, რომ ხსნიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ადგენენ წვრილ-კრედიტის საზოგადოებებს, მართავენ წარმოდგენებს და სხ. და სხ. ისეთ მიყრუებულ სოფლებშიაც და დაბებში, სადაც მცხოვრებნი მხოლოდ სადღეისო ინტერესებს ემსახურებოდნენ და საკუთარ ოჯახისა და პირად საჭიროებათა იქით არც კი სურდათ გადახედვა, დღეს ქვეყნის ხმასაც ყურს უგდებენ და ამით მათს გონებას უფრო ფართო ასპარეზი ეშლება. იყო დრო, როდესაც ისეთ მოზდილ დაბაში, როგორიცაა ზუგდიდი, ჯოხითაც ვერ გამოიყვანდი საზოგადოებას საზოგადო კულტურულ საქმისთვის; მაგრამ დღეს იქაც სხვა ნიშნები მოსჩანს. იგი დღითი-დღე იზრდება და რამოდენიმე სასწავლებელიც კი აქვთ. სცდილობენ, ამ ცამეტი წლის წინად აღძრული და შემდეგ მიძინებული შუამდგომლობა ზუგდიდის ქალაქად დამტკიცების შესახებ, ისევ აამოძრავონ. უკანასკნელი წლები საქართველოში რკინის გზათა ხანად უნდა ჩაითვალოს. თუ ლიხთ-აქეთ კახეთის რკინის გზის თაობაზე ღელავენ, ლიხთ-იქით ყველა შავი ზღვის პირის რკინის გზის ამბებითაა დაინტერესებული. მთავრობამ 200,000 მ. გადასდო სოჭიდან ქუთაისამდე რკინის გზის ლიანდაგისთვის საჭირო ადგილის დასათვალიერებლად, მთავრობის პროექტით გზა თვით ზუგდიდსაც კი სამ-ოთხი ვერსის მანძილზე სტოვებს, რაც არა თუ ზუგდიდისთვის, საერთოდ მთელი კუთხისათვის საზარალოა. ქუთაისის მოურავი და ხონის საზოგადოება სცდილობენ როგორმე ლიანდაგი ცოტათი მაინც მთებისაკენ მიაწევინონ და ხონით ქუთაისს გაიყვანონ. ზუგდიდელებმა სოჭას გაგზავნეს თდ-გ. პ. დადიანი მთავრობისაგან გამოგზავნილ ინჟენერებთან მოსალაპარაკებლად და სათხოვნელად, სადგური ზუგდიდისათვის დაეხლოვებინათ. დადიანმა წარუდგინა მოსაზრებანი იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი მიმართულება სასარგებლოა როგორც ზუგდიდისთვის, აგრეთვე გზისათვისაც, რადგანაც ჯუმეჯიანის ტრიალ მინდვრების ნაცვლად სადგური მჭიდროდ დასახლებულ მიდამოში იქნებოდა. ინჟენერმა მოიწონა ეს მოსაზრებანი და აღუთქვა, ჩემი პროექტით ნახევარ ვერსის მანძილზე დავუახლოვებო. ამას დიდად ხელს შეუწყობდა უგ. თ. ნ. მინგრელსკი, რომლის მიწებზე გაივლის ლიანდაგი, ცოტა ყურადღებას რომ მიაქცევდეს, მაგრამ თითონ მინგრელსკი ძლიერ იშვიათად მოევლინება ხოლმე ჩვენს ქვეყანას და მაშინაც ასეთი საქმეებით თავს არ იცხელებს.

(დასასრული იქნება)



# ოსმალეთ-იტალიის საომარ ასპარეზის რუქა.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

## დეპეშები.

23 სექტემბერი.

**რომი (სტეფანი).** იტალიის ფლოტმა კანმეორებით ბრძანება მიიღო, ადრიატიის და იონიის ზღვის პირას, ოსმალეთის ახლოს, საომარი ოპერაციები არ დაიწყოო.

**ბელგრადი.** ოსმალეთიდან იტალიელების გახიზვნა გრძელდება. სერბიას კიდევ 200 კაცი მოვიდა.

**ბელგრადი.** დიდ ვეზირს სერბიის ნოტა გადასცეს. ნოტაში ნათქვამია, სერბია, როგორც არნაუტის მოძრაობის დროს, დღესაც ისე მოიქცევა და ოსმალეთთან მეგობრულ კავშირს არ გასწყვეტსო. სერბია ყველაფერს მოერიდება, რაც ოსმალეთში საქმეს გაართულებსო. სერბიას იმედი აქვს, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებიც ასე მოიქცევიან და მშვიდობიანობას არაფრით დაარღვევენო. ნოტამ ოსმალეთზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ტრიპოლი.** 20 სექტემბერს, შუადღისას, სულტანიეს სიმაგრეზე ზარბაზნის სროლით და ზეიმით იტალიის დროშა ააფრიალეს. სიმაგრე გადმოსულ ჯარის რამდენიმე როტამ აიღო. ამ ჯარს რამდენიმე გემი იცავს და დანგრეულ სიმაგრეების მახლობლად არის გაჩერებული.

**სტამბოლი.** შეიხ-ულ-ისლამად ისევ მუსია-კიაზიმია.

პორტამ სახელმწიფოებს აცნობა, ბულგარეთი, საბერძნეთი და ჩერნოგორია ჯარს აძლიერებენო.

ტრიპოლიდან ამბავი მოვიდ, ბევრი კერძო და მთავრობისა სახლი ზარბაზნით დაანგრიესო. სიმაგრე მცირედ დაზიანდა.

გერმანიის საელჩომ ოსმალეთს დააჯერა, იტალიელებს ნუ გააძევებო. ბარგის გადამზიდნი ამბობენ, ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს იტალიის საქონლით არ დავტვირთავთო.

პორტას შეატყობინეს, ტრიპოლში ჯარი გადავიდაო. იტალიელებმა პრევეზის ახლოს გემი „ნევა" დაიჭირეს. იგი ინგლისის დროშას ამოეფარებოდა.

სამხედრო სასამართლომ გაზეთი „ბურს-დ-ორიანი" შეაჩერა.

ხონთქარმა ბრძანება გასცა, მეჩეთებში ჩვენს გამარჯვებისთვის ილოცეთო. სასახლეში მუსიკის დაკვრა აკრძალა.

**რომი.** „სტეფანის" ტრიპოლიდან დეპეშით ატყობინებენ, ქალაქი იტალიის გადმოსულმა ჯარმა აიღო პირველ რანგის კაპიტან კანიის მეთაურობითაო. კონტრ-ადმირალი ბორეადოლმო ტრიპოლის გუბერნატორად დანიშნეს. ევროპიელების ქონება და სახლები არ დაზიანებულაო.

**ლონდონი.** რეიტერს ქოდვიდან ატყობინებენ, იტალიის სამხედრო გემებმა 19 სექტემბერს ქალაქს 21-ჯერ ესროლა. ზარბაზნით ინგლისის გემი „გილგოლის" კატარღა ჩაძირა.

**ათინა.** ათინას სააგენტო უარჰყოფს ვითომც ლისკატას, ელასონს და სელფიჯეს ორი ბრბო ენახოს, რომელთაც ოსმალეთში შეჭრა ჰქონდეთ მიზნად.

**სტამბოლი.** ბულგარეთის ელჩმა განაცხადა, ბულგარეთში მობილიზაცია არ გამოცხადებულა და ბულგარეთი ნეიტრალობას დაიცავსო.

**ათინა.** სტამბოლიდან იტყობინებიან, რედიფების 16 კლასი როდოსტოს მოიწვიეს და ეხლა ბრძანებას ელიანო. აქვე მილიციას აგროვებენ. არგირო კასტროში სათადარიგოთა 20 კლასი მოაგროვეს, დურაცოში—ექვსი. ამბობენ, კოსოვოს ვილაიეტში ყველა სათადარიგო ჯარის-კაცთ მოაგროვებენო.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა მოხალისეთა რაზმი შეადგინა. ამისთვის მან ეგვიპტისა და სხვა ადგილების მაჰმადიანებში მუშაობა დაიწყო. საბერძნეთში მობილიზაციის ამბავს ყურადღებას არ აქცევენ. იანინის თემში ოსმალონი 22 ბატალიონს აგროვებენ. ბერძნებმა კი მხოლოდ ორი მოაგროვეს, რაიც მის მშვიდობიანობის სურვილს ამტკიცებს.

**რომი.** 23 სექტემბერს სან-ჯოვანი-დიმედუას ნაპირს ოსმალებმა ვერაგულად სროლა დაუწყეს იტალიის გემს, რომელმაც თეთრი დროშა ააფრიალა. კონტრაბანდის მზვერავმა იტალიის გემმა „არტილიერიემ" გემის გადასარჩენად თითონაც დაუწყო სროლა. „არტილიერიე" ცოტა დაზიანდა. გემის უფროსი ფეხში დაიჭრა. მტრის ზარალი არ იციან.

**ტრიპოლი.** როდესაც მეზღვაურთ სულთანიის სიმაგრე აიღეს, არაბები ადმირალის (გემზე?) მოვიდნენ, მორჩილება განაცხადეს და ზარბაზნის სროლის შეჩერება სთხოვეს. იტალიის ადმირალმა წესიერების დაცვა და მცხოვრებთა უზრუნველყოფა აღუთქვა.

**მასსოვა.** ქოდეიდის სიმაგრეებიდან იტყობინებიან, ოსმალეთის ნაღმოსანმა იტალიის მზვერავ „არეტუზას" სროლა დაუწყო, „არეტუზამ" იგი სროლით ჩაძირა.

**რომი.** „ტრიბუნა" სან-ჯოვანი-დი-მედუას მომხდარ ინციდენტის თაობაზე ამბობს: რადგან შესაძლოა ალბანეთის სანაპიროებზე იტალიის მოქმედებას რაიმე ცუდი შედეგი მოჰყვეს, იტალიის ფლოტმა ბრძანება მიიღო, ალბანეთის ახლოს საომარ მოქმედებას ნუ დაიწყებს.

**ტურინი.** მინისტრ-პრეზიდენტი მოვიდა. მას დიდის ამბით შეხვდნენ და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს იტალიის ტრიპოლსაო".

**ცეტინიე.** სანდო პირნი იუწყებიან, იტალიელებს სან-ჯოვანი დი-მედუასთვის ზარბაზანი არ დაუშენიათო.

## გაზეთებიდან

### იტალიელთა სიხარული.

იტალიის ფლოტის გამარჯვებამ რომში დიდი სიხარული გამოიწვია. სხვა და სხვა ადგილას პატრიოტული მანიფესტაციები იმართება. ბირჟაც კმაყოფილია და შიში არაფრისა აქვს.

იტალიის პრესა მთავრობას ერთხმად აქებს.

**ავსტრიის აზრი.**

ავსტრიის პრესა იტალიის უკმაყოფილებას უცხადებს, ოსმალეთს კი—თანაგრძნობას. გაზეთების სიტყვით, იტალიაში მობილიზაციის საქმე ცუდად მიდის. ჩრდილოეთში ომის გუნებაზე არ არიან. შუა-იტალია ომს გულგრილად ეკიდება. ამბობენ, ნეაპოლსა და ბინდიზში საალყო წესები გამოაცხადესო.

**რუსეთისა და ავსტრიის მოწოდება.**

რუსეთმა და ავსტრიამ ბალკანეთის სახელმწიფოებს მიმართა, მშვიდობიანობას ნუ დაარღვევთო.

**ჯარის მოგროვება.**

ოსმალეთის სამინისტროს ბრძანება გაუცია, ადრიატიის ნაპირის დასაცავად ათი დივიზია შეგროვდესო.

**პორტის ნოტა**

პორტას ევროპის სახელმწიფოებისათვის ნოტა გადაუცია, სადაც ამბობს იტალიის ქვეშევრდომნი უნდა გავაძევო და იტალიის საქონელს ბოიკოტი გამოვუცხადოო.

**გერმანიის მიმართვა.**

პარიზში ცნობა მიიღეს, გერმანიამ სახელმწიფოებს მიჰმართა იტალიისა და ოსმალეთის საქმეში ჩაერიეთო. მორიგების პირობები ასეთია; ტრიპოლის ოსმალეთი დასთმობს, ამისათვის ფულს მიიღებს და ხონთქრის სუვერენიტეტიც დაცულ იქნება.

**მობილიზაცია.**

ბუქარესტიდან ვენასატყობინებენ, მთავრობა მობილიზაციას შეუდგაო. ბუქარესტიდან სამი პოლკი გასულა, არ იციან—საით.

**რუსეთის სურვილი.**

რუსეთს სურვილი აქვს თურმე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერიოს და სხვასაც ნება მისცეს იტალიისა და ოსმალეთის უთანხმოების საქმეში ჩარევისა, თუ ბალკანეთში რაიმე მოძრაობა დაიწყება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ბრძანება გასცეს, სუეცის კომპანიის ფონდის უფროსი დეპიარე დაატუსაღეთო. მას მიდიან ფრანკის გაფლანგვასა და დამალვას აბრალებენ.

**ვენა.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დურკოვი ნეგუში ვენას სამი დღის წინად სერბიიდან მოვიდა და პარლამენტში სოციალ-დემოკრატ პაულენთან ერთად იყო. დავინახეო,—სთქვა მან—ადლერი სოციალ-დემოკრატთა დემონსტრაციის თაობაზე რომ ლაპარაკობდა, იუსტიციის მინისტრი დამცინავად იღიმებოდა, ავდექი და გესროლეო.

**პარიზი.** ჭაგასის დეპეშით ატყობინებენ, ხმა გავარდა, პორტუგალიის მონარქისტების ბრანგანცა და სხვა დიდი ადგილები დაიჭირესო.

**ვენა.** 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი 2.911,699.034, კრონს უდრის ხარ-სჯი—2,91685,263.

**სტოკჰოლმი.** ლიბერალთა პარტიის ბელადმა სტააფმა მეფეს ახალ კაბინეთის წევრთა სია წარუდგინა. სიაში მოჰყვნენ ლიბერალები: მინისტრ პრეზიდენტად—სტააფი, გარეშე საქმეთა—ერენსვერდი, სამხედრო—ბერგსტრემი, საზღვაო—ლარსონი, იუსტიციის—სანდსტრემი, შინაგან საქმეთა—შოტტე, ფინანსთა—ადლესვერდი, სასულიერო საქმეთა—ბერგი, მიწადმოქმედებისა—პეტერსონი;

**პორტო-ო-პრენსი** მიწის ძვრამ რამდენიმე სახლი დაანგრია.

**სპარსეთი**

**ბარფრუში.** წუხელის დრიადით და ყვირილით 300 ბახტარი შემოიჭრა ქალაქს, მოინე ხომაუნის მეთაურობით. ყველა ქარვასლები დაჰკეტეს. ხალხი შიშმა აიტანა.

**რუსეთი.**

**მოგილევი.** პოდოლის გუბერნიაში ტირნოვო-სკნიცას გზაზე საქონლის მატარებლის ორი ქლემაგალნი დაეჯახნენ ერთმანეთს. 16 ვაგონი დაიმსხვრა, ერთი კონდუქტორი ძლიერ დაშავდა ორი მსუბუქად.

**პეტერბურგი.** მწერალ პეშეხონოვს, სამოსამართლო პალატამ წლინახევრის ციხე გადაუწყვიტა. „თვითმპყრობელობის საეკონომიო პოლიტიკა“ რად გამოეცაო.

**ეკატერინოსლავი.** გორიანოვო-ეკატერინოსლავის გზაზე ორი საბარგო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა.

10 ვაგონი დაიმსხვრა. მემანქანე და მისი თანაშემწე დაიჭრა.

**ნიკოლაევი.** სადგურ ისგონიის სამხრეთის გზების მეარტელეს პორტფელი მოჰპარეს რომელშიაც 32,000 მანეთი იყო.

# თეატრი და ხელოვნება

**ბელინსკის დილა** სახალხო სახლში დღეს გაიმართება, დილის 10 საათზე.

**ზუბალოვის თეატრში** დღეს სომხურად წარმოადგენენ ა. ცაგარელის პიესას „ხანუმას“ წარმოდგენაში სომხის მსახიობნი იღებენ მონაწილეობას.

## ღია წერილი

**მიხეილ ცისკარიშვილს და გარსევან კურდღელაშვილს საყურადღებოდ.**

თელავის ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში, როცა სომხის ვაჭრების შოვინისტებმა ქართველების კანდიდატები უგულებელ ჰყვეს და სულ სომხები აირჩიეს, კანდიდატთა შორის ორი ქართველი მ. ცისკარიშვილი და გ. კურდღელაშვილიც მოჰყვა, ადბათ ისიც შემთხვევით

როგორც მაშინ დანამდვილებით ამბობდნენ და სწერდნენ, ამ ორ ქართველს უარი ეთქვათ პროტესტის ნიშნათ და თხოვნაც შეეტანესთ, მაგრამ ეხლა კი სომეხ ხმოსანთა შორის ესენიც იქმნენ დამტკიცებულნი კანდიდატებათ.

ამასათვის კარგი იქნება გვაუწყონ გაზეთის საშუალებით, რამდენად მართალია ეს ხმები და თუ მართლა თხოვნები შეიტანეს, რატომ იქმნენ დამტკიცებულნი.

ქართველი ამომრჩეველი.

## წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დამემოწმოთ, რომ „სახალხო გაზეთი“-ს 406 №-ში მოთავსებული რეცენზია „სო—ლი“-სა ა-ნ ივ. პ. ფალიაშვილის ანტრეპრიზის შესახებ მე არ მეკუთვნის. მაშასადამე, უსაფუძვლოა ის საყვედურები, რომელიც მე ზოგიერთმა სახაზინო თეატრში მოსიარულე პირმა გამომიცხადა. აქვე საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, როგორც თქვენმა თანამშრომე იმა რეცენზენტმა, რომ ხსენებულ რეცენზიას არაფერში არ ვეთანხმები. *)

ილია ზურაბიშვილი.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ხსენებული რეცენზიის ავტორი ბ-ნი ილია ზურაბიშვილი არ არის: ვსარგებლობთ შემთხვევით და ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ეს რეცენზია შემთხვევით დაიბეჭდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მკითხველ საზოგადოების წინაშე. რედაქცია.

# განცხადებანი


სამკურნალო კაბინეტი

**ექიმ პ. ს. ფონ-ირეტელისა**

(ელისაბედის ქ., № 17, ცირკოვის მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმლებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა,

(ერლიხის „6 0 6“-ის საშუალებით

და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.9)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—80)

**ექიმი** ქ ა ბ ი ლ ი ს ა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ზ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ნ.ხ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინი დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—140)

მუხრანის ქერძო

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. ქ. იოხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. საყვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელკონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

**408** ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

**ლ. მ. მონინი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით(Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1008—147

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მეს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая, N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლია. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება Метцль. 12429. (45—1014—33)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას ასწავლე ქალ-ვაჟებთან, ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის** **სარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გავრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებულ იქნება აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო სარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—36)

სამებისა და პუშკინის ქუჩ. ქიმში

**იყიდება ტრაქტირი**

მთელის მოწყობილობით.

იკითხეთ არაქელიანცთან.

(3.346.3)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

**ჭრა-კერვის ● წიგნი ●**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—71)

**მასწავლებელ ქალთა ჯგუფი**

„მასწავლ.-ქალთა საზოგადოებასთან“ ორივე სქესის ბავშვებს ყველა საგანში და ენაში ● ამზადებს ● საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის. მეცადინეობა 3 ოქტომბერს დაიწყება. მსურველნი სასოგადოების „მასწავლებელ-ქალთა საზოგადოების“ კანტორაში უნდა ჩაეწერნენ, ბარიატინსკის ქ., N 6, დილის 10—2 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. (3.835.3)

**უდიდესი საჩუქარი**

!!!სიცოცხლეში ერთხელ!!!

600 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.

1. მშვენიერი საათი—ანკერ სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით. 2. საუცხოვო საქალებო ბეჭედი, ამერიკულ ბრილიანტით. 3. ჩინებული მანიაკი, ზევს აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტ-შესაკრავით. 4. მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური ამერიკულ ოქროსი „დუბლე“. 5, ჯიბის ლამაზი „ნესესერი“ ოთხი ნივთით. 6. ერთი წყვილი საყურე საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი. 7 მშვენიერი და ლაზათიანი ტყავის საფულე. 8. ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით. 9. მუშტუკი-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის მავნებლობის ამაცილებელი. 10. მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი მშვენიერის ბუდით. 11. და კიდევ 500 სხვა საცულისხმო და სასარგებლო ნივთი. სულ, 600 ნივთში, საათიანად, მხოლოდ 3 მ. და 90 კ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву «Меркурiй», Лодзь, з. 45. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метцль и К-о, 60493 (8.1494.3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ტრაქტირების პატრონთ, რომ ქალაქის სასარგებლოდ 1912 წლის გადასახადთა გამწერავ კომისიის არჩევნებისათვის კ რ ე ბ ა დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში:

დუქან-ტრაქტირებისა და სარდაფებისა—სამშაბათს, 27 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ღვინის სარდაფებისა—ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ჩაიხანა-ლუდხანების (ცხელის საჭმლებით), ტკბილეულობის დუქანთა და გაწყობილ ნომრებისა—ხუთშაბათს, 29 სექტემბერს, ნაშუადღ. 4 საათზე, ბუფეტ-რესტორან-სასტუმროებისა—პარასკევს, 30 სექტემბერს, ნაშუადღ. 4 საათზე, ბაკებისა და სანოვაგის დუქნებისა—ორშაბათს, 4 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

თუ ყველა ეს მოვაჭრენი აღნიშნულს ვადაზე არ გამოცხადდებიან, მაშინ ხარჯთ-გაწერვა დაინიშნება, და სტატიის ქალ. დებულებათა მე 43 მუხლის ძალით, თვითონ ქალაქის გამგეობა გააწერს ხარჯსა.

(2.1579.1) გამგეობის წევრი ნ. ბრლუმინსკი.

საბუღალტრო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა. ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.24)

სწრაფად გამგზავრების გამო

**იყიდება საწოლების დუქანი**

(ბაკალეინი)

მარჯვე ადგილას. იკითხეთ ამალლების ქუჩაზე, სახლი ოსიპოვისა, № 43. მრელაშვილთან. (3—844—2)

**ჭრა-კერვის სკოლა და სახელოსნო**

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს

● შ ე ს ა კ ე რ ა დ. ●

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს.

(წყნეთის ქუჩაზე, № 17, ვერაზე),

(10—803—6) გამგე ანა მერკვილაძისა.

**საკერავი მაშინა ზინგერის კომპანიისა**

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან




ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფასოდ სწავლიდით სიყალბეს მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—33)

**გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:**

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ფ. 75 კ.
„ „ წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“. . . ფ. 80 კ.
„ „ წ. III. „ნააზრევი“ . . . . . . . ფ. 65 კ.
Bâto n-ისა: „ერი და კაცობრიობა“ . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. უიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა: «მეკობრეობა», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

**სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრე თ**

**ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 3, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი ლოქო.

◀ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

ახალი კეტოვი ხიზილალა

აგრეთვე მიიღეთ საუკეთესო ღირსების ხმელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ.—1051—)



ალექსანდრე

**თაბაგარი**

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**საკერავი და საქსოვი მაშინები,**

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომლეიც ეტყუარია და მყიდველებისგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—42)

